## საქართველოს მთავრობა

# ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის

თბილისი

2007

ს ა რ ჩ ე ვ ი


საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია (2008-2011 წლები) ..... 5

საქართველოს მთავრობის ამოცანები ..... 6

საქართველოს მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები ..... 7

საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტები 2008-2011 წლებისათვის ..... 8

სახელმწიფო პოლიტიკა ..... 8

სახელმწიფო ადმინისტრირება და რეგულირება ..... 9

ეკონომიკური თავისუფლება და ინფრასტრუქტურის განვითარება ..... 9

საზოგადოებრივი სფერო ..... 10

მაკროეკონომიკა ..... 12

მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი ..... 12

ფისკალური პოლიტიკა ..... 18

საბიუჯეტო შემოსავლები ..... 21

შემოსავლების ანალიზი ..... 21

2007 წლის შემოსავლების პროგნოზი ..... 23

2008-2011 წლების შემოსავლების პროგნოზი ..... 24

2006 წლის მოკლე მიმოხილვა ..... 25

გადასახდელები ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში ..... 28

სახელმწიფო ვალის სტრატეგია ..... 30

საგარეო ვალის მდგრადობა და სტრატეგია ..... 30

საშინაო ვალის მდგრადობა და სტრატეგია ..... 31

ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები ფუნქციონალურ ჭრილში ..... 32

2008-2011 წლებისათვის საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სამინისტროების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები ..... 35

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ..... 35

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ..... 36

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ..... 37

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ........ 39

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ........ 40

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო........ 41

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო........42

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო........43

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო........45

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო........46

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ........47

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო........48

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო........ 49

დანართი 1 ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცხრილები........51

დანართი 2 სამინისტროთა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მატრიცები........ 60

ეს სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის პროგრამის ,,ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის'' განვრცობას და პრიორიტეტების შემდგომ დაზუსტებას უკვე მიღწეული პროგრესისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით.

სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის გამომხატველი შემდეგი დოკუმენტები: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, წინასწარი სადისკუსიო დოკუმენტი (IDP) NATO-ში გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში (ID), ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია და მთავრობის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, მსოფლიო ბანკის სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერი ღონისძიებები (PRSO), ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა (ENP AP).

# საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია (2008-2011 წლები)

საქართველოს გააჩნია ისტორიული შესაძლებლობა ააშენოს თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული, შეძლებული და სამართლიანი სახელმწიფო. ახალი ქართული სახელმწიფო, როგორც თანამედროვე განვითარებული კაცობრიობის ნაწილი, იქნება სახელმწიფო პიროვნებისათვის, ადამიანის განვითარებისა და საქმიანობის თავისუფლებაზე დაფუძნებული სახელმწიფო.

ახალი ქართული სახელმწიფო – ეს არის:

- **თავისუფალი საქართველო** - ადეკვატური თავდაცვისუნარიანობით;
- **ერთიანი საქართველო** - მისი ყოველი მოქალაქისთვის;
- **დემოკრატიული საქართველო** - გამჭვირვალე სახელმწიფო ინსტიტუტებით, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებით და სიტყვის თავისუფლებით;
- **სამართლიანი საქართველო** - დამოუკიდებელი და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემით;
- **შეძლებული საქართველო** - კერძო საკუთრების დაცულობით და ეკონომიკური თავისუფლებით;

ამ მიზნების მიღწევისათვის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებს 2008-2011 წლებისათვის წარმოადგენენ:

- ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენა და სამოქალაქო ერთობა;
- მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა;
- მოქნილი, ანგარიშვალდებული და ქმედითი მმართველობის ფორმირება;
- ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება;
- NATO-ში გაწევრიანების პირობების დაკმაყოფილება.

სახელმწიფო მიზნების მიღწევის პირობებია, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა და მეორეს მხრივ, რეფორმათა დინამიკის შენარჩუნება და სახელმწიფოს მოდერნიზაცია.

## საქართველოს მთავრობის ამოცანები

– მეტი სამუშაო ადგილი კერძო სექტორში;
– გამჭვირვალე და ქმედითი სახელმწიფო მმართველობა და თვითმმართველობა;
– ეფექტიანი მართლმსაჯულება;
– ადეკვატური თავდაცვისუნარიანობა;
– ქმედითი სამართალდამცავი სისტემა;
– ენერგოუსაფრთხოება;
– გამოთანაბრებული რეგიონალური განვითარება;
– მდგრადი და ეფექტური ბუნებათსარგებლობა;
– ხარისხიანი და კონკურენტული განათლების შესაძლებლობა;
– ღია და ტოლერანტული კულტურული გარემო;
– მეზობელ და განვითარებულ ქვეყნებთან საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია.

## საქართველოს მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს მთავრობის ყველა მოქმედების ცენტრში უნდა იყოს პიროვნება, მისი ძირითადი უფლებების, ღირსებისა და თავისუფლებების ხარისხის ზრდა, პროფესიული და სამეწარმეო განვითარება, ტერიტორიული მთლიანობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, ყველა უწყებამ უნდა უზრუნველყოს თავისი მასშტაბური თუ მცირე მოქმედებების მისადაგება სახელმძღვანელო პრინციპებისადმი:

- ‘‘მცირე მმართველობა’’: საკუთრების ფორმების ალტერნატივების შემთხვევაში კერძო საკუთრებისათვის პრიორიტეტის მინიჭება; სახელისუფლებო სტრუქტურების კომპეტენციის შემოფარგვლა საქმიანობით, რომელსაც კერძო სექტორი უკეთ ვერ უზრუნველყოფს და ეკონომიკაში მხოლოდ მინიმალურად აუცილებელი ადმინისტრაციული ჩარევა; პროტექციონიზმისა და პრივილეგიების დაუშვებლობა;

- ‘‘კარგი მმართველობა’’: მმართველობის ორგანოების საქმიანობის შედეგზე ორიენტაცია და გაზომვადობა; საქმიანობის გამჭვირვალობა, სამოქალაქო კონტროლი, უწყებათა საჯარო ანგარიშვალდებულება; მმართველობის დეცენტრალიზაცია შესაძლოდ დაბალ იერარქიულ საფეხურზე კომპეტენციათა და პასუხისმგებლობათა დელეგირებით;

- ‘‘მიზნობრივი დახმარება’’: სახელმწიფო რესურსების და მომსახურების მიწოდება არა ინსტიტუტებზე, არამედ პირდაპირ მოსარგებლეზე - პრინციპით: ‘‘დახმარება უკავშირდება მოსარგებლეს’’; სახელმწიფო ‘‘თანაბარი დახმარების პრინციპის’’ (დახმარება ყველას, მათ შორის შეძლებულების) შეცვლა ‘‘სამართლიანი დახმარების პრინციპით’’ (დახმარება მიზნობრივად უმწეოებს და ხელმოკლეებს);

- ‘‘მიზნობრივი ხარჯვა’’: განსაკარგი რესურსების განაწილება დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად; საფინანსო რესურსების ფოკუსირება დადგენილ მიზნებზე და ფრაგმენტირების დაუშვებლობა; ბიუჯეტის უნივერსალობა;

- ‘‘კარგი პრაქტიკა’’: საერთაშორისო პრაქტიკის არსის გათვალისწინება და არა მექანიკური კოპირება; საერთაშორისო ფინანსური რესურსები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც შიდა რესურსები არა საკმარისია;

## საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტები 2008-2011 წლებისათვის

რეფორმათა დაგეგმილი შედეგისა და მათ სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტებად 2008-2011 წლებისათვის განისაზღვრება:

**სახელმწიფო პოლიტიკა**

*ეროვნული უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სფერო*

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანმიმდევრული განხორცილება;
- NATO-ში გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის (ID) ეტაპის წარმატებულად დასრულების შემდეგ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) ეტაპზე გადასვლა;
- არმიის მართვის ოპტიმიზაცია და ბრძოლისუნარიანობის ამაღლება; არმიის რეფორმირება NATO -ს სტანდარტების შესაბამისად; არმიაზე სამოქალაქო კონტროლის სისტემის სრულყოფა;
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP Action Plan) დასრულება და ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება;
- „საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების (PCA) განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხების ჩათვლით და ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებასთან (2009 წ.) დაკავშირებით ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყება ახალი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.
- სამეზობლო არეალში შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;

*სახელმწიფოს ინსტიტუციონალური მშენებლობა*

- კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის სამშვიდობო სამოქმედო გეგმების მიზანმიმართული განხორციელება;
- სასამართლოს დამოუკიდებელი, სანდო, მიუკერძოებელი და ოპტიმიზებული სისტემის დამკვიდრება;
- ქმედითი თვითმმართველობის ჩამოყალიბება; უფლებამოსილებათა და ქონების გამიჯვნა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემის განვითარება ფუნქციური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების გზით; საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის გაუმჯობესება;

- საზღვრის დაცვის პოლიციური სისტემის განვითარება;
- დიპლომატიური და საკონსულო ქსელის გაფართოება;

**სახელმწიფო ადმინისტრირება და რეგულირება**

*სამართლებრივი რეგულირების სფერო*

- საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის წარმატებული განხორციელება;
- სააღმსრულებლო სისტემის რეფორმა სასამართლო გადაწყვეტილებების დროულად და ეფექტურად აღსრულების მიზნით;
- ერთიანი სამოქალაქო რეესტრის ინფრასტრუქტურისა და მონაცემთა ბაზის ფორმირება; საჯარო რეესტრის სანდოობისა და მომსახურების ხარისხის ზრდა;
- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ინსტიტუციური რეფორმა; პატიმართა უფლებების დაცვის და რესოციალიზაციის ეფექტური მექანიზმების შემუშავება;
- კვალიფიციური სახაზინო ადვოკატისა და ხელმისაწვდომი ინსტიტუტის ფორმირება;

*სახელმწიფო მმართველობის სფერო*

- საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ეფექტური განხორციელება;
- სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმირება; კადრების შერჩევის და მოტივაციის სისტემის სრულყოფა „მცირე ხელისუფლებისა" და „კარგი მმართველობის" დანერგვით;
- სახელმწიფო მმართველობის ორგანოების რეგულარული საჯარო ანგარიშგების, ანგარიშვალდებულების და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების სრულყოფა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალოვადიანი, შედეგზე ორიენტირებული სახარჯო პოლიტიკისა და მექანიზმების დახვეწა;
- ხაზინის ცენტრალიზებული სისტემის განვითარება; შემოსავლების მობილიზების მდგრადობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა;

**ეკონომიკური თავისუფლება და ინფრასტრუქტურის განვითარება**

*ეკონომიკის ინსტიტუციური დარეგულირება*

- სალიცენზიო-სანებართვო და ზედამხედველობის სისტემის გამართვა;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ქონების განსახელმწიფოებრიობის დასრულება; სახელმწიფო ქონების მართვის გამჭვირვალობის ზრდა და კომერციალიზაცია;

- მეწარმეობაზე სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედების მინიმალიზება;
- შემოსავლების სამსახურის ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- საგადასახადო სისტემის დახვეწა, შემდგომი ლიბერალიზაცია
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კონკურენტული სისტემის დანერგავა და მეორადი ბაზრის ფორმირების ხელშეწყობა, ბუნებრივი რესურსების საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების დივერსიფიკაცია (მათ შორის წყლისა და ტყის მართვის კონცეფციების შემუშავება და განხორციელება);
- სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის ალტერნატიული ბაზრების მოპოვების ხელშეწყობა;

*ეკონომიკის ინფრასტრუქტურული უზურნველყოფა*

- ენერგოსისტემის მდგრადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ალტერნატივების გაზრდით და საერთაშორისო ენერგოსისტემებში ინტეგრაციის უფრო მაღალი ხარისხით;
- რეგიონალური განვითარება საინჟინრო (გზების, წყალმომარაგების, ენერგომომარაგების სისტემების და სხვა) და სოციალური ინფრასტრუქტურის ინტენსიური რეაბილიტაციის და განვითარების გზით;
- ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კერძო-საჯარო პარტნიორობის გამოყენება;
- ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის “ღია პოლიტიკის” განხორციელება მობილურობის, საერთაშორისო ინტეგრაციისა და სატრანზიტო მიმზიდველობის უზრუნველსაყოფად;
- სასურსათო უვნებლობის ერთიანი სისტემის შექმნა და ეტაპობრივი დანერგვა; ქვეყნის ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის ზრდა;

**საზოგადოებრივი სფერო**

*სოციალური დაცვის სფერო*

- სოციალური დახმარების რეზიდუალური სისტემის ფორმირება; მონეტიზებულ, მიზნობრივი და საოჯახო დახმარებების სისტემის სრულყოფა;
- ხანდაზმულ ასაკში სიღარიბისაგან მიზნობრივი დაცვის სისტემის ფორმირება; ასაკსა და სოციალურ სტატუსზე დამყარებული საპენსიო სისტემის დანერგვა და კერძო საპენსიო დანაზოგების ინიციატივების სტიმულირება;
- მომხმარებელზე ორიენტირებული, ეკონომიკურად გამართული და სადაზღვევო პრინციპებზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ინსტიტუციური რეფორმა;
- ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის განხორციელება;

- საბაზო ჯანდაცვის განვითარების პირობების გაუმჯობესება;

- ბიოუსაფრთხოების სისტემის გამართვა;

*განათლება და კულტურა*

- შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კერძო და სახელმწიფო პარტნიორობა პროფესიულ გადამზადების სფეროში; ეკონომიკის ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირება;
- განათლების სისტემის ინსტიტუციური და პროგრამული რეფორმირების დასრულება, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადი ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა;

- განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაცია; სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საგრანტო-კონკურენტული სისტემის სრულყოფა;

- კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის და სპორტის სფეროებში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდა და ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესება;

- ძეგლთა რესტავრაცია და პრევენციული კონსერვაცია;

- სპორტისა და კულტურის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

# მაკროეკონომიკა

## მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ:

–ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;

–ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება;

–საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

## მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი

2004-2006 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიურმა ზრდამ 8.3 პროცენტი, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 7.7 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

| | 2004 | 2005 | 2006 | *2007* | *2008* | *2009* | *2010* | *2011* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფაქტ. | ფაქტ. | ფაქტ. | *პროგ.* | *პროგ.* | *პროგ.* | *პროგ.* | *პროგ.* |
| რეალური მშპ (ზრდის ტემპი) | 5.9 | 9.6 | 9.4 | ***10.0*** | ***7.5*** | ***7.0*** | ***7.0*** | ***7.0*** |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 9824.3 | 11621.0 | 13783.9 | ***16527.2*** | ***18878.0*** | ***21218.9*** | ***23851.7*** | ***26813.8*** |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი) | 2275.5 | 2679.8 | 3124.5 | ***3746.3*** | ***4279.2*** | ***4809.8*** | ***5406.6*** | ***6078.0*** |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 1187.2 | 1478.4 | 1758.7 | ***2243.3*** | ***2593.4*** | ***2915.0*** | ***3276.7*** | ***3683.6*** |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში) | 5.7 | 8.3 | 9.2 | ***8.5*** | ***5 - 7*** | ***5.0*** | ***5.0*** | ***5.0*** |
| მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან) | -6.6 | -10.8 | -15.2 | ***-23.1*** | ***-20.7*** | ***-20.4*** | ***-19.8*** | ***-19.1*** |

### ა. ეკონომიკური ზრდა

***<u>მიმოხილვა</u>***

2006 წელს, 2005 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 9.4 პროცენტი შეადგინა და ნომინალურ გამოხატულებაში 13.8 მლრდ ლარს გაუტოლდა.

მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 6.2 პროცენტით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მატების 66.0 პროცენტია.

*<u>მრეწველობა</u>*

2006 წელს მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 20.3 პროცენტით გაიზარდა.

2006 წლის განმავლობაში ზრდას ჰქონდა ადგილი მრეწველობის დარგის სამივე სფეროში. მათ შორის:

გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობამ 22.4 პროცენტით მოიმატა. ელექტროენერგიის, აირისა და წყალმომარაგების სფერო 14.2 პროცენტით გაიზარდა.

სამთომომპოვებელ მრეწველობაში 18.9 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა.

მრეწველობის წილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში 2005 წელთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.4 პროცენტი შეადგინა.

*სოფლის მეურნეობა*

2005 წლისაგან განსხვავებით, 2006 წელს მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში.

დარგში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 9.3 პროცენტით შემცირდა.

სოფლის მეურნეობის წილობრივი დონე მშპ-ის მიმართ 3.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.3 პროცენტს გაუტოლდა.

სოფლის მეურნეობაში ჩავარდნამ მშპ-ის ზრდის ტემპი 1.4 პროცენტული პუნქტით შეამცირა. სოფლის მეურნეობის გარეშე მშპ-ის ზრდამ 10.9 პროცენტი შეადგინა.

*ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა და საფინანსო საქმიანობა*

2006 წელს მშპ-თან შედარებით სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა ვაჭრობის, ტრანსპორტისა და საფინანსო საქმიანობის დარგები.

შექმნილი დამატებული ღირებულება, 2005 წელთან შედარებით, ვაჭრობაში 19.7 პროცენტით, ტრანსპორტში 15.1 პროცენტით და საფინანსო საქმიანობაში 40.4 პროცენტით გაიზარდა.

**პროგნოზი**

*მთლიანი შიდა პროდუქტი*

2007 წელს, წინა წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 10.0 პროცენტით გაიზრდება და ნომინალურ გამოხატულებაში 16.5 მლრდ ლარს გადააჭარბებს (ნახ. 1).

საშუალოვადიან პერიოდში (2008-2011 წლები) მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი სავარაუდოდ 7-7.5 პროცენტის ფარგლებში იქნება.

*ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯები*

2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, კერძო ინვესტიციების მოსალოდნელი ნომინალური მოცულობა 21.3 პროცენტით გაიზრდება და მშპ-ის 28.3 პროცენტს გაუტოლდება. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციებს ზრდის ტენდეცია ექნება და 2011 წლისათვის სავარაუდოდ მშპ-ის 29.0 პროცენტს გადააჭარბებს.

2007 წელს სავარაუდოდ გაიზრდება სამომხმარებლო ხარჯების წილი მშპ-ის მიმართ. 2008-2011 წლებში კი სამომხმარებლო ხარჯების რეალური მოცულობა გაიზრდება, ხოლო მის წილობრივ დონეს მშპ-თან მიმართებაში კლების ტენდეცია ექნება.

ნახ. 1 მშპ-ის ნომინალური მნიშვნელობის დინამიკა (მლნ ლარი)




ნახ. 2. მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)




## ბ. საგარეო სექტორი

**მიმოხილვა**

*მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი*

2006 წელს 2005 წელთან შედარებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა და -1176.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2006 წელს გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელიც და მშპ-ის 15.2 პროცენტი შეადგინა. 2005 წლისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 10.8 პროცენტს უდრიდა.

2006 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ასეთი მატება მნიშვნელოვნად განაპირობა უცხოური კაპიტალის შემოდინებამ, რადგან უცხოური ინვესტიციების მატებამ გაზარდა მოთხოვნა საიმპორტო საქონელზე და შესაბამისად გაიზარდა იმპორტის მოცულობა.

*სავაჭრო ბრუნვა*

2006 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5362.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელს 28.9 პროცენტით აღემატება.

სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი შეადგენს 1666.5 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 13.2%-ით), ხოლო იმპორტი 3695.7 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 37.6%-ით).

2006 წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 67.1 პროცენტით მოიმატა და -2029.2 მლნ დოლარი შეადგინა.

2006 წელს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 13.9 პროცენტს შეადგენს, რაც 1.8 პროცენტული პუნქტით მეტია 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. მეორე ადგილი 13.6 პროცენტით რუსეთმა დაიკავა (2005 წელს რუსეთის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 16.0 პროცენტს შეადგენდა). შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი (8.8 პროცენტი), გერმანია (8.5 პროცენტი) და უკრაინა (8.1 პროცენტი).

ექსპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს. ამ ქვეყნის წილად მოდის მთლიანი ექსპორტის 12.6 პროცენტი. მეორე ადგილზე 9.3 პროცენტით აზერბაიჯანი, ხოლო მესამეზე კი 7.6 პროცენტით რუსეთია. 2005 წელს რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 17.8 პროცენტს შეადგენდა. ექსპორტში რუსეთის წილის ასეთი ცვლილება განპირობებულია ამ ქვეყანაში ექსპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვანი შემცირებით. 2006 წელს 2005 წელთან შედარებით რუსეთში ექსპორტი 2-ჯერ შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის გარეშე მთლიანი ექსპორტის ზრდამ 28.9 პროცენტი შეადგინა.

იმპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე კვლავ რუსეთია. მისი წილი მთლიან იმპორტში 15.3 პროცენტია (2005 წელს 15.4 პროცენტი იყო). მეორე ადგილი კი 14.2 პროცენტით თურქეთს უჭირავს.

**პროგნოზი**

*სავაჭრო ბრუნვა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი*

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა.

პროგნოზული გათვლებით, 2007 წელს გაიზრდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ. 2008-2011 წლებში კი ექსპორტის ზრდის ტემპები გადააჭარბებს იმპორტის ზრდის ტემპებს და შესაბამისად შემცირდება

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელი, თუმცა მის აბსოლუტურ სიდიდეს ზრდის ტენდეცია ექნება.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ 2007 წლისათვის -23.1 პროცენტის, ხოლო 2008 წლისათვის კი -20.7 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი.

გარეგანი შოკების არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული ტენდეცია შენარჩუნებული იქნება შემდგომ წლებშიც და 2011 წლისათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელის მნიშვნელობა სავარაუდოდ -19.0 პროცენტის ფარგლებში იქნება.

### გ. მონეტარული სექტორი

**მიმოხილვა**

*სამომხმარებლო ფასები*

2006 წლის დეკემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 8.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 9.2 პროცენტით მოიმატა.

2006 წლის ინფლაციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის (გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით) ორმა პროდუქციამ მოახდინა. ესენია: პირველი სურსათი და უალკოჰოლო სასმელები, მეორე საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები. სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ინფლაციის საერთო დონე 5.3 პროცენტით, ხოლო საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეებმა კი 2.0 პროცენტით გაზარდა.

*ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ*

2006 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ ამაღლების ტენდეციით ხასიათდებოდა.

2005 წლის დეკემბერთან შედარებით, ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი 3.5 პროცენტით ამაღლდა და 2006 წლის დეკემბრისათვის 1.72 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

გასული წლის განმავლობაში ლარის საშუალო წლიური მნიშვნელობა 2.0 პროცენტით გამყარდა და 1.78 ლარი/აშშ-ის დონეზე დაფიქსირდა.

*ფულის მასა*

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2006 წლის ბოლოს, 2005 წლის ბოლოსთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა 19.1 პროცენტით გაიზარდა და 1193.2 მლნ ლარს გაუტოლდა.

2006 წლის დეკემბრის ბოლოსათვის M3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 2689.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 40.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში M2 ფულის მასა 30.2 პროცენტით გაიზარდა.

გასული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 54.2 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში კი 69.5 პროცენტით გაიზარდა.

იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორმა 0.34 პუნქტით მოიმატა და 2.25 გაუტოლდა, ხოლო M2-ის მულტიპლიკატორი 0.1 პუნქტით გაიზარდა და 1.17 შეადგინა.

2006 წელს დოლარიზაციის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით 2.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 69.6 პროცენტს გაუტოლდა.

**ფულის მიმოქცევის სიჩქარე** M3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.96 ერთეულით შემცირდა და 5.12 შეადგინა. M2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 9.9 გაუტოლდა, რაც 1.0 ერთეულით ნაკლებია 2005 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

*საპროცენტო განაკვეთები*

2006 წელს 2005 წელთან შედარებით საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19.8 პროცენტს გაუტოლდა.

უცხოურ ვალუტაში სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 17.4 პროცენტი შეადგინა, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წელთან შედარებით.

საპროცენტო განაკვეთებმა დეპოზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში 2.1 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 10.1 პროცენტი შეადგინა, უცხოურ ვალუტაში კი 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.6 პროცენტს გაუტოლდა.

**პროგნოზი**

პროგნოზული შეფასებებით 2007 წლისათვის სამომხმარებლო ფასები სავარაუდოდ 8.5 პროცენტით გაიზრდება. 2008-2011 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება კი 5-7 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია ფულის მიმოქცევის სიჩქარის შემცირება როგორც M3-თვის, ისე M2-თვის. ფულის მულტიპლიკატორებისათვის კი ზრდის ტენდეციაა მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების შემცირებაც.

## დ. დასაქმება და უმუშევრობა

**მიმოხილვა**

სტატისტიკური მონაცემებით 2006 წელს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1747.3 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 34.6 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 65.4 პროცენტი კი თვითდასაქმებული.

2006 წელს 2005 წელთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა 1.7 პროცენტით შემცირდა და უმუშევრობის დონემ 13.8 პროცენტი შეადგინა.

**პროგნოზი**

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია უმუშევრობის დონის შემცირება.

2007-2011 წლებში უმუშევრობის შემცირება ძირითადად განხორციელდება ეკონომიკური ზრდის ხარჯზე.

პროგნოზული შეფასებით, 2011 წლისათვის 2006 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე სავარაუდოდ 2.0-2.5 პროცენტული პუნქტით შემცირდება.

**ფისკალური პოლიტიკა**

2006 წელს 2005 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების წილმა მშპ-ის მიმართ 2.1 პროცენტით მოიმატა, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა 1.6-ჯერ გაიზარდა.

2006 წელს, წინა წელთან შედარებით, 8.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა მთავრობის ვალის წილი მშპ-თან მიმართებაში და 32.1 პროცენტს გაუტოლდა.

გრძელვადიანი პერიოდისთვის ***მთავრობის სტრატეგიაა*** ფისკალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს:

- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას;
- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;
- ხარჯების ზრდას პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- საფინანსო წესრიგის გაძლიერებას;

ნახ. 3. ბიუჯეტის დეფიციტი 2004-2011 წლებში
(პროცენტულად მშპ-თან)



ნახ. 4. მთავრობის ვალი 2004-2011 წლებში
(პროცენტულად მშპ-თან)




2008-2011 წლებისთვის ***ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს*** წარმოადგენს:

- ხარჯების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, სოციალური სფერო, უსაფრთხოება და მართლწესრიგი;
- 2011 წლისათვის მთავრობის ვალის შემცირება მშპ-ის 20 პროცენტამდე;
- საბიუჯეტო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 30 პროცენტს;
- ბიუჯეტით გათვალისწინებული რეალური სექტორის სუბსიდირება დაეფუძნება შესაბამის მკაფიოდ განსაზღვრულ პროგრამებს, რომლებმაც არ უნდა გამოიწვიონ დამატებითი ხარჯების გენერირება სამომავლო საბიუჯეტო ციკლში;
- სახელმწიფო სექტორში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები მოექცევიან სტანდარტული საბიუჯეტო ანგარიშის ჩარჩოებში;
- ჩამოყალიბდება კაპიტალური ბიუჯეტი, როგორც წლიური ბიუჯეტის ნაწილი;
- ახალი პროგრამებისა და პროექტების (საკანონმდებლო და სხვა) ინიცირებისას მოხდება პირდაპირ ხარჯებთან ერთად ირიბი ხარჯების ანალიზი;
- ბიუჯეტის დეფიციტმა არ უნდა გადააჭარბოს მშპ-ის 2 პროცენტს;
- დეფიციტის დაფინანსება არ მოხდება ეროვნული ბანკის სესხების გზით;
- ერთჯერადი შემოსავლების სახით მიღებული თანხები მიმართული იქნება მხოლოდ ერთჯერადი ხარჯების დაფინანსებაზე, რომლებიც არ იწვევენ გენერირებას სამომავლო საბიუჯეტო ციკლში;

აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდება:

- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია:

- o 2008 წელს საშემოსავლო და სოციალური გადასახადები გაერთიანდება და განაკვეთი იქნება 25 პროცენტი;
- o 2008 წლიდან მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდება 15 პროცენტამდე;
- o ჩამოიწერება ფიზიკურ პირებზე 2005 წლის 1 იანვრისთვის არსებული მიწის გადასახადის დავალიანება;

- სახელმწიფო ხარჯების მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფა;

ცხრილი 2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები 2004-2011 წლებში (პროცენტულად მშპ-თან)

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფაქტ | ფაქტ | ფაქტ | მოს | პროგ | პროგ | პროგ | პროგ |
| | | | | | | | | |
| სულ შემოსავლები და გრანტები | 22.0 | 23.4 | 26.7 | 28.6 | 28.0 | 28.5 | 29.0 | 29.4 |
| საგადასახადო შემოსავლები | 18.4 | 19.7 | 21.8 | 25.4 | 25.9 | 26.6 | 27.3 | 27.9 |
| არსაგადასახადო შემოსავლები | 2.3 | 2.8 | 3.5 | 1.7 | 1.3 | 1.2 | 1.1 | 1.0 |
| გრანტები | 1.3 | 0.9 | 1.4 | 1.5 | 0.8 | 0.7 | 0.6 | 0.5 |
| | | | | | | | | |
| ხარჯები და წმინდა დაკრედიტება | 19.7 | 25.0 | 28.7 | 30.2 | 29.5 | 30.0 | 30.0 | 30.0 |
| მიმდინარე ხარჯები | 15.6 | 19.1 | 20.7 | 22.4 | 22.4 | 23.0 | 23.0 | 23.0 |
| პროცენტების გადახდა | 1.4 | 1.0 | 0.8 | 0.8 | 0.5 | 0.5 | 0.4 | 0.4 |
| სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები | 14.2 | 18.1 | 19.9 | 21.6 | 21.9 | 22.5 | 22.6 | 22.6 |
| კაპიტალური ხარჯები და დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით | 4.1 | 5.9 | 8.0 | 7.8 | 7.1 | 7.0 | 7.0 | 7.0 |
| | | | | | | | | |
| საერთო ბალანსი (ვალდებულებები) | 2.3 | -1.6 | -1.9 | -1.6 | -1.5 | -1.5 | -1.0 | -0.6 |
| | | | | | | | | |
| ხარჯების მიხედვით დავალიანების წმინდა ცვლილება (- შემცირება) | -2.6 | -0.8 | -0.3 | -0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | | | | | | | |
| საერთო ბალანსი (საკასო) | -0.3 | -2.5 | -2.2 | -1.7 | -1.5 | -1.5 | -1.0 | -0.6 |
| | | | | | | | | |
| დაფინანსება | 0.3 | 2.5 | 2.2 | 1.7 | 1.5 | 1.5 | 1.0 | 0.6 |
| პრივატიზაცია | 0.7 | 3.6 | 4.1 | 3.5 | 0.5 | 0.3 | 0.2 | 0.2 |
| საშინაო (წმინდა) | -0.7 | -0.9 | -1.4 | -1.7 | -0.1 | 0.2 | -0.8 | -0.5 |
| საგარეო | 0.3 | -0.2 | -0.5 | -0.1 | 1.1 | 1.0 | 1.6 | 0.9 |

# საბიუჯეტო შემოსავლები

## შემოსავლების ანალიზი

საქართველოს ***<u>ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალმა და გრანტებმა</u>*** 2006 წელს 3 686.8 მლნ ლარი შეადგინა და წინა წლის მაჩვენებელს 33.6 პროცენტით გადააჭარბა (ცხრილი 3).

შემოსავლისა და გრანტების საერთო მოცულობამ მშპ-ის 26.7 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი 3. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

მლნ ლარი

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | ნაერთი ბიუჯეტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2006 წელი | | | | | % | |
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % | მშპ | 2005/2006 | საგადასახადო შემოსავლებში გადასახადების წილი |
| შემოსავალი და გრანტი | 3,566.5 | 3,686.8 | 120.2 | 103.4 | 26.7 | 133.6 | |
| სულ შემოსავალი (კაპიტალური შემოსავლების გარეშე) | 3,376.1 | 3,492.5 | 116.4 | 103.4 | 25.3 | 131.2 | |
| საგადასახადო შემოსავალი (საბიუჯეტო სექტორიდან სოციალური გადასახადების გარეშე) | 2,880.6 | 3,004.1 | 123.5 | 104.3 | 21.8 | 131.2 | 100.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 356.0 | 385.9 | 29.9 | 108.4 | 2.8 | 132.8 | 12.8 |
| მოგების გადასახადი | 334.3 | 341.1 | 6.8 | 102.0 | 2.5 | 162.2 | 11.4 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 1,280.8 | 1,332.7 | 51.9 | 104.0 | 9.7 | 135.0 | 44.4 |
| აქციზი | 338.4 | 335.6 | -2.8 | 99.2 | 2.4 | 117.2 | 11.2 |
| საბაჟო გადასახადი | 127.5 | 132.4 | 4.9 | 103.8 | 1.0 | 107.3 | 4.4 |
| ქონების გადასახადი | 81.4 | 85.8 | 4.4 | 105.4 | 0.6 | 142.2 | 2.9 |
| სათამაშო ბიზნესის გადასახადი | 9.9 | 10.9 | 1.0 | 110.0 | 0.1 | 99.9 | 0.4 |
| სხვა გადასახადები | 15.1 | 22.2 | 7.1 | 147.2 | 0.2 | 168.6 | 0.7 |
| სოციალური გადასახადი (საბიუჯეტო სექტორიდან სოციალური გადასახადების გარეშე) | 337.2 | 357.5 | 20.3 | 106.0 | 2.6 | 116.7 | 11.9 |
| არასაგადასახადო შემოსავალი (გაცემული კრედიტების გარეშე) | 495.5 | 488.4 | -7.1 | 98.6 | 3.5 | 155.6 | |
| გრანტები | 190.5 | 194.3 | 3.8 | 102.0 | 1.4 | 185.8 | |

***<u>სულ შემოსავლის</u>*** სახით ნაერთ ბიუჯეტში 2006 წელს შევიდა 3 492.5 მლნ ლარი, რაც 31.2 პროცენტით მეტია 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

მშპ-ის მიმართ სულ შემოსავლების წილი 25.3 პროცენტამდე გაიზარდა.

***<u>საგადასახადო შემოსავლების</u>*** სახით 2006 წელს მობილიზებულ იქნა 3 004.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლზე 4.3 პროცენტით მეტია. 2005 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 31.2 პროცენტით მოიმატა, ხოლო მშპ-ის მიმართ მისი წილი 21.8 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 4. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 2003-2006 წლებში

მლნ ლარი

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი და გრანტი | 2,160.8 | 2,715.4 | 3,686.8 |
| სულ შემოსავალი (კაპიტალური შემოსავლების გარეშე) | 2,036.1 | 2,610.9 | 3,492.5 |
| საგადასახადო შემოსავალი (საბიუჯეტო სექტორიდან სოციალური გადასახადების გარეშე) | 1,811.2 | 2,289.1 | 3,004.1 |
| საშემოსავლო გადასახადი | 268.6 | 290.7 | 385.9 |
| მოგების გადასახადი | 161.6 | 210.3 | 341.1 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 628.2 | 987.4 | 1,332.7 |
| აქციზი | 204.6 | 286.4 | 335.6 |
| საბაჟო გადასახადი | 100.1 | 123.4 | 132.4 |
| სხვა გადასახადები | 167.2 | 84.5 | 118.9 |
| სოციალური გადასახადი | 280.9 | 306.3 | 357.5 |
| არასაგადასახადო შემოსავალი (გაცემული კრედიტების გარეშე) | 224.9 | 321.8 | 488.4 |
| გრანტები | 124.7 | 104.6 | 194.3 |

***საშემოსავლო გადასახადის*** სახით 2006 წელს ყველა დონის ბიუჯეტებში შევიდა 385.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 108.4 პროცენტია.

მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 32.8 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის მიმართ მისი წილი 2.8 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.

საშემოსავლო გადასახადის წილმა საგადასახადო შემოსავალში კი 12.8 პროცენტი შეადგინა.

***მოგების გადასახადის*** მოცულობა ნაერთ ბიუჯეტში 2006 წელს, 2005 წელთან შედარებით, 62.2 პროცენტით გაიზარდა და 341.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებელს 2.0 პროცენტით აღემატება.

მშპ-ის მიმართ მოგების გადასახადის წილი 2.5 პროცენტია, ხოლო მისი წილი საგადასახადო შემოსავალში 11.4 პროცენტს გაუტოლდა.

***დამატებული ღირებულების გადასახადის*** სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 44.4 პროცენტია, ნაერთ ბიუჯეტში შევიდა 1 332.7 მლნ ლარი და საპროგნოზო მაჩვენებელის 104.0 პროცენტი შეადგინა. (წინა წელთან შედარებით 35.0 პროცენტით გაიზარდა), ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადის წილმა მშპ-ის 9.7 პროცენტი შეადგინა.

***აქციზის*** სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 11.2 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 335.6 მლნ ლარი. ეს წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე 17.2 პროცენტით მეტია და საპროგნოზო მაჩვენებლის 99.2 პროცენტს შეადგენს.

აქციზის წილი მშპ-ის მიმართ 2.4 პროცენტის ტოლია.

***საბაჟო გადასახადის*** სახით, რომლის წილი საგადასახადო შემოსავალში 4.4 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 132.4 მლნ ლარი (წინა წელთან შედარებით 7.3 პროცენტით გაიზარდა).

მშპ-ის მიმართ საბაჟო გადასახადის წილი 1.0 პროცენტია.

***არასაგადასახადო შემოსავალმა***, რომელიც მთლიანი შემოსავლისა და გრანტების 13.2 პროცენტია, 488.4 მლნ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით კი 55.6 პროცენტით გაიზარდა.

მშპ-ის მიმართ არასაგადასახადო შემოსავლის წილი 3.5 პროცენტის ტოლია.

## 2007 წლის შემოსავლების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებული იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მათი შესაძლო შედეგები.

***ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების*** (საბიუჯეტო სექტორიდან სოციალური ანარიცხების გარეშე, არასაგადასახადო სექტორიდან გაცემული კრედიტების დაბრუნების გარეშე, კაპიტალური შემოსავლების გარეშე) მოცულობის ზრდა 2007 წელს 28.1 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ სავარაუდოდ 28.6 პროცენტს გაუტოლდება.

სავარაუდოდ 28.3 პროცენტით გაიზრდება სულ შემოსავლები, ხოლო მისი მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 27.1 პროცენტს მიაღწევს.

***ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების*** (საბიუჯეტო სექტორიდან სოციალური ანარიცხების გარეშე) მოცულობის ზრდა 40.0 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 25.4 პროცენტს გაუტოლდება, მათ შორის:

– ***საშემოსავლო გადასახადის*** მოცულობის ზრდა მოსალოდნელია 41.7 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 3.3 პროცენტის ფარგლებში;

– ***მოგების გადასახადის*** მოცულობის ზრდა მოსალოდნელია 56.2 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 3.2 პროცენტის ფარგლებში;

– ***დამატებული ღირებულების გადასახადის*** მოცულობის ზრდა მოსალოდნელია 49.6 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 12.1 პროცენტის ფარგლებში;

– ***აქციზის*** ზრდა მოსალოდნელია 17.0 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.4 პროცენტის ფარგლებში;

– ***ქონების გადასახადის*** მოცულობის ზრდა მოსალოდნელია 40.7 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 0.7 პროცენტის ფარგლებში;

– ***არასაბიუჯეტო სექტორიდან სოციალური გადასახადის*** მოცულობის ზრდა მოსალოდნელია 73.3 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ – 3.8 პროცენტის ფარგლებში.

***არასაგადასახადო შემოსავლების*** 2007 წლის ნაერთ ბიუჯეტში ერთჯერადი ჩარიცხვების შემცირებასთან დაკავშირებით შემცირდება არასაგადასახადო შემოსავლების მოცულობა დაახლოებით 56.3 პროცენტის ფარგლებში, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ სავარაუდოდ 1.7 პროცენტს გაუტოლდება.

## 2008-2011 წლების შემოსავლების პროგნოზი

პროგნოზული გათვლებით, 2008-2011 წლებში, ზრდის ტენდენცია ექნება ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას.

საპროგნოზო პერიოდში ყოველწლიურად შემოსავლებისა და გრანტების მოცულობა საშუალოდ 12-15 პროცენტით გაიზრდება და 2011 წლისათვის მშპ-ის 29.0 პროცენტს გადააჭარბებს. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს, მისი ყოველწლიური ნომინალური ზრდა 15-16 პროცენტის ფარგლებში იქნება და 2011 წლისათვის მშპ-ის 28.0 პროცენტამდე მიაღწევს.

საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია ცვლილებები საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში. თუ გასულ წლებში არაპირდაპირი გადასახადების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა პირდაპირი გადასახადების მოცულობას, 2008-2011 წლებში პირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპები გადააჭარბებს არაპირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპებს და მათი მოცულობები ერთმანეთს დაუახლოვდება. 2011 წლისათვის არაპირდაპირი გადასახადები სავარაუდოდ მშპ-ის 15.0 პროცენტის, ხოლო პირდაპირი გადასახადები კი მშპ-ის 13.0 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში შემცირდება როგორც არასაგადასახადო შემოსავლების, ასევე გრანტების წილობრივი მაჩვენებელი მშპ-ის მიმართ.

# 2006 წლის მოკლე მიმოხილვა

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებელი 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,4-ჯერ, ხოლო 2004 წლის მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სრულად შესრულდა წლიური საბიუჯეტო კანონის ფარგლებში აღებული ვალდებულებები.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებების დაფინანსებას. ამ პერიოდში გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- NATO-ს საერთაშორისო სამსახურის მიერ დადებითად შეფასდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელება და საქართველო NATO-სთან თანამშრომლობის უფრო მაღალ საფეხურზე– NATO-ში გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფაზაში (ID) გადავიდა;
- მნიშვნელოვანი სახსრები, 684.1 მლნ ლარი იქნა მიმართული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის. 2006 წელს ჩატარდა მასშტაბური გაერთიანებული სწავლება, რომლის დაგეგმარებისას და ჩატარებისას ნათლად გამოჩნდა ბრძოლისუნარიანობის მკვეთრი ზრდა. გრძელდებოდა საქართველოს თავდაცვის სისტემის რეფორმა, რომელიც ასევე ითვალისწინებს NATO-სთან პარტნიორობის პროგრამით გათვალსწინებული ღონისძიებების გატარებასა და მათ ფინანსურ უზრუნველყოფას;
- დამტკიცდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP Action Plan);
- ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების, სისტემის დეცენტრალიზაციის, საბიუჯეტო ურთიერთობების მოწესრიგებისა და საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შემდეგ ძალაში შევიდა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- MTEF პრინციპებზე დაფუძნებული საბიუჯეტო პროცესის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელდა ყველა სამინისტროს ჩართვა MTEF პროცესში და ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად იგი აისახა ,,ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის“ საქართველოს მთავრობის დოკუმენტში;
- სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან (GFSM – 2001) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა ბიუჯეტის გადასახდელების ახალი ფუნქციონალური კლასიფიკაცია, რომელიც აისახა 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში;

• მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის დასაძლევად, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა ბუნებრივი აირის გაზრდილი ტარიფიც. გაგრძელდა ენერგოსისტემის რეაბილიტაციის პროცესი, რაც ითვალისწინებდა ქვეყანაში მოქმედი ჰიდრო და თბოელექტროსადგურების და ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციას, რამაც თავისმხრივ უზრუნველყო ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება;

• საბაჟო პოლიტიკის ძირეულ გადახედვასთან დაკავშირებით, კორუფციის პრევენციის, ვაჭრობის სფეროს ლიბერალიზაციისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი და „საბაჟო ტარიფის შესახებ" საქართველოს კანონი;

• მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული საქართველოს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ამ მიზნით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 181.2 მლნ ლარი. გასულ წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით დაიწყო პირველი ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობა. ჩატარებულ იქნა პერიოდული და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაახლოებით 322 კმ საავტომობილო გზაზე, აღდგენილი იქნა 45 ხიდი, 14 რაიონის 27 დასახლებულ პუნქტებში ჩატარდა მდინარეთა კალაპოტებისა და ნაპირების გასამაგრებელი პრევენციული ღონისძიებები;

• სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და გამოუყენებელი ქონების განსახელმწიფოებრივების სტრატეგიის ფარგლებში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პრივატიზებულ იქნა 141 ობიექტი, რომლისგან 19 წარმოადგენს მსხვილ ობიექტს;

• ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე უპრობლემო განთავსებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნის მიზნით მიმდინარეობდა საკანონმდებლო სისტემის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;

• გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე გამოყოფილი სახსრები და შეადგინა 369.0 მლნ ლარი;

• მკვეთრად გაუმჯობესდა პატიმართა და მსჯავრდებულთა ზოგიერთ საპყრობილე-დაწესებულებაში კვება (დღიური კვების ნორმა ერთ პატიმარზე ნაცვლად 0.77 ლარისა განისაზღვრა 1.52 ლარით, ანუ 45 ლარით თვეში), სამედიცინო პირობები და პენიტენციალური სისტემის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა;

• გასულ წელს განხორციელდა ქვეყანაში მინიმალური პენსიის ოდენობის მატება 38 ლარამდე, ხოლო თბილისის მასშტაბით განხორციელდა სამუშაო სტაჟის მიხედვით პენსიის გაანგარიშების სისტემის დანერგვა და აღნიშნული სისტემის მიხედვით მინიმალური პენსიის მაქსიმალური ოდენობა 48 ლარით განისაზღვრა.

• ფართომასშტაბიანი ღონისძიებები იქნა გატარებული არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ოსურენოვანი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისათვის, რაც

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოსურ მოსახლეობაში საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნდობის აღდგენის საქმეში;

- საპრეზიდენტო პროგრამის „ჩემი სახლი“ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვას, შევსებულია 43 000 დეკლარაცია;

- გაგრძელდა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა. 2006 წელს ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვამ შეადგინა 40.8 მლნ ლარი;

- სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად კვლავაც გაგრძელდა მიზნობრივი ღონისძიებების გატარება. განხორციელდა ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (მათ შორის, ომის მონაწილეების და მათთან გათანაბრებული პირების) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსირება (შეღავათებით მოსარგებლე პირთა რაოდენობამ 2006 წლის შეადგინა 97 719 პირი, ხოლო კომპენსაციის ოდენობამ – 14.8 მლნ ლარი);

- საქართველოს მთავრობის მიერ მნიშვნელოვანი ოდენობით შეძენილ იქნა მინერალური სასუქი, რომელიც საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად გადაეცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობას (მინერალური სასუქის შესაძენად და მისი რეგიონებამდე ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილ იქნა 7.1 მლნ ლარი);

- ამოქმედდა სოციალური დახმარებების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ყოველთვიური დახმარებებით უზრუნველყოფას. ამ მიზნით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 26.8 მლნ ლარი. უმუშევართა დასაქმების მიზნით სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების სახელმწიფო პროგრამის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 18.8 მლნ ლარი;

- 42.7 მლნ ლარი მიმართული იქნა ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობაზე, რეაბილიტაციაზე და მათ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვაზე;

- სულ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებზე მიმართულ იქნა 828.8 მლნ ლარი, რომელიც 134.4 მლნ ლარით აღემატება 2005 წლის შესაბამის მაჩვენებელს;

- გაგრძელდა განათლების სფეროს რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა კაპიტალურ შეკეთებასა (სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმულ იქნა 20 000 ადამიანი) და თანამდეროვე ტექნიკით აღჭურვას. აღნიშნული მიზნით გაწეულმა ხარჯმა 88.1 მლნ ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 2006 წლიდან სრულყოფილად ამოქმედდა ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერიზაციის პროგრამა (გაწეულმა ხარჯმა 187.4 მლნ ლარი შეადგინა);

## გადასახდელები ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში

### ნაერთი ბიუჯეტი

ბიუჯეტის გადასახდელებისა და ხარჯების მოცულობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზი.

მაკროეკონომიკური გათვლების შესაბამისად ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელების პროგნოზმა მშპ-ს მიმართ 2008 წლისათვის შეადგინა 29.5 პროცენტი, ხოლო 2009-2011 წლებისათვის – 30 პროცენტი.

***საქონელსა და მომსახურებაზე*** ნაერთი ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯები 2008 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის 13 პროცენტი იქნება.

აღნიშნული მუხლიდან ხორციელდება როგორც შრომის ანაზღაურების ხარჯების გასტუმრება, ისე ყველა იმ ხარჯის დაფარვა, რომლებიც არ შედის ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებულ სხვა მუხლებში.

2009 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ 13.9 პროცენტამდე გაიზრდება, 2010 წლისათვის – 14.1 პროცენტამდე, ხოლო 2011 წლისათვის – 14.7 პროცენტამდე.

***სუბსიდიებისა და ტრანსფერების*** მუხლით გასაწევი ხარჯების მოცულობა 2008 წლისათვის მშპ-ს მიმართ 8.8 პროცენტის დონეზე იქნება, 2009 წლისათვის – 8.7 პროცენტს შეადგენს, 2010 წლისათვის 8.4 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო 2011 წლისათვის – 7.9 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდება.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია როგორც სოციალური, ისე საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებების დაფინანსებაც.

***კაპიტალური ხარჯების*** წილი მშპ-ს მიმართ 2008 წლისათვის 7.1 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2009-2011 წლებში კი – 7.0 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდება.

**პროცენტების დასაფარად** გაწეული ხარჯები 2008 წლისათვის მშპ-ის 0.5 პროცენტი იქნება, 2009 წელში 0.5 პროცენტის, ხოლო 2010-2011 წლებში 0,4 პროცენტის ფარგლებში განისაზღვრება.

აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებულია როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალდებულებების მომსახურება.

### სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2008 წლისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 26.4 პროცენტის, 2009 წლისათვის 26.8 პროცენტის, 2010 წლისათვის 26.7 პროცენტის, ხოლო 2011 წლისათვის 26.6 პროცენტის დონეზე. ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით გადასახდელები და ხარჯები 2008-2011 წლებზე შემდეგნაირად ნაწილდება:

- ***შრომის ანაზღაურების*** მუხლით გასაწევი ხარჯების ოდენობა 2008 წელს მშპ-ს მიმართ 3.2 პროცენტის, 2009 წელს 3.2 პროცენტის, 2010 წელს 3.1 პროცენტის, ხოლო 2011 წელში კი 3.0 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდება.

- ***სუბსიდიებისა და ტრანსფერების*** მუხლით გასაწევი ხარჯების ოდენობა 2008 წელს მშპ-ს მიმართ 10.7 პროცენტის, 2009 წელს 10.9 პროცენტის, 2010 წელს 10.5 პროცენტის, ხოლო 2011 წელში კი 10.0 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდება.

- ***კაპიტალური ხარჯები*** 2008 წლისათვის მშპ-ს მიმართ 5.2 პროცენტის, ხოლო 2009-2011 წლებისათვის 5.1 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდება.

## ადგილობრივი ბიუჯეტი

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები 2008-2011 წლებისათვის ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2008 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები მშპ-ს 5.7 პროცენტი იქნება, 2009-2011 წლებში 5.9-6.0 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება.

- ***შრომის ანაზღაურებაზე*** გათვალისწინებული ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტში 2008-2011 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 0.5 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება.

- ***სხვა საქონელისა და მომსახურების*** მუხლით ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 2008 წელს იგეგმება ხარჯები მშპ-ის 2.6 პროცენტის, ხოლო 2009 წელს 3.1 პროცენტის ოდენობით, 2010-2011 წლებში კი 2.9 და 3.1 პროცენტების დონეზე შენარჩუნდება.

- ***სუბსიდიებისა და ტრანსფერების*** მუხლით გასაწევი ხარჯების ოდენობა 2008-2010 წლებში მშპ-ს მიმართ 0.6 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2011 წელს 0.5 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდება.

- ***კაპიტალური ხარჯების*** მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტებიდან 2008-2011 წლიბისათვის მშპ-ს მიმართ 1.9 პროცენტების დონეზე ჩამოყალიბდება.

# სახელმწიფო ვალის სტრატეგია

## საგარეო ვალის მდგრადობა და სტრატეგია

საგარეო ვალის მომსახურება 2008-2011 წლებში ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, რომელშიც ვალის მომსახურების თანხები გაანგარიშებულია შემდეგი დაშვებებით:

- გათვალისწინებულია საგარეო ვალის რესტრუქტურირების პარიზის კლუბის 2001 და 2004 წლების შეთანხმებების პირობები;
- გამოყენებულია მხოლოდ 2007 წლის დასაწყისისათვის არსებული საკრედიტო შეთანხმებების პირობები;
- არაა ასახული მომავალში ასაღები ვალდებულებების საპროგნოზო მაჩვენებლები;
- ნავარაუდევია, რომ საქართველოს ვალი თურქმენეთისადმი სრულად დაიფარება 2007 წლის ბოლოსათვის.

**2005-2011 წლებში საგარეო ვალდებულებებით წარმოქმნილი მოსალოდნელი საბიუჯეტო ხარჯები**

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საგარეო ვალის მომსახურება** | 200.4 | 270.4 | 236.8 | 123.1 | 124.5 | 125.1 | 134.7 |
| **მშპ-ს მიმართ პროცენტულად** | 1.7% | 2.0% | 1.4% | 0.7% | 0.6% | 0.5% | 0.5% |
| მ.შ. ძირითადი თანხა | 161.9 | 234.4 | 154.4 | 73.3 | 82.3 | 85.5 | 98.0 |
| პროცენტი | 38.5 | 36.0 | 82.4 | 49.8 | 42.2 | 39.6 | 36.7 |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე ვალდებულებები** | 0.0 | 0.0 | 7.6 | 7.9 | 7.8 | 7.8 | 6.0 |
| **მშპ-ს მიმართ პროცენტულად** | 0.00% | 0.00% | 0.05% | 0.04% | 0.04% | 0.03% | 0.02% |

საგარეო ვალის მომსახურებისთვის გასაწევი ხარჯებში არ არის გათვალისწინებული:

1. თურქმენეთის ვალის გადასახდელები, ვინაიდან, სავარუდოა, რომ თურქმენეთის ვალის პროდუქციით დაფარვა დასრულდება 2007 წელს

2. ევროგაერთიანებისგან 2008 წელს სავარაუდოდ მისაღები გრანტის სანაცვლო გადასახდელები

* გაანგარიშებებში გამოყენებულია დოლართან ლარის გაცვლითი სავალუტო კურსი - 1.75.

ფინანსთა სამინისტრო გააგრძელებს თანამშრომლობას ეკონომიკურ აგენტებთან, რათა ორმხრივი ვალების დაფარვა მოხდეს თურქმენეთის ვალის მომსახურების ანალოგიურად - პროდუქციით და მომსახურებით. გარდა ამისა, დაიწყება

მოლაპარაკება ორმხრივ კრედიტორებთან არაშეღავათიანი კრედიტების დისკონტით დაფარვის თაობაზე (პარიზის კლუბის ე.წ. “შედარებადობის პრინციპის” აუცილებელი დაცვით).

საქართველოს მიერ მომავალში აღებული არაშეღავათიანი კრედიტების ოდენობა არ გადააჭარბებს შესაბამის ლიმიტებს.

რიგ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში საქართველოს გაწევრიანების შედეგად (აზიის განვითარების ბანკი, ევროსაბჭოს განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და სხვა) გაფართოვდება კრედიტების, მ.შ. შეღავათიანი საგარეო რესურსები.

საქართველოს სახელმწიფო ვალის მაჩვენებლების ანალიზმა მდგრადობაზე უჩვენა, რომ 2008-2011 წლებში საგარეო ვალის მდგრადობა შენარჩუნებული იქნება.

## საშინაო ვალის მდგრადობა და სტრატეგია

- ,,საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის შეთანხმების შესაბამისად ეროვნული ბანკის მიმართ არსებული დავალიანების ნაწილის ყოველწლიურად დაფარვა;
- ე/წ. ,,ისტორიული ვალების“ სრული ინვენტარიზაცია და მისი შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ანაზღაურების მექანიზმის შემუშავება;

მლნ ლარებში

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საშინაო ვალის მომსახურება** | **113.6** | **84.9** | **77.0** | **85.0** | **89.0** | **87.0** | **86.0** |
| **მშპ-ს მიმართ პროცენტულად** | **1.0%** | **0.6%** | **0.5%** | **0.5%** | **0.4%** | **0.4%** | **0.3%** |
| მ.შ. ძირითადი თანხა | 32.0 | 20.4 | 20.0 | 30.0 | 35.0 | 35.0 | 35.0 |
| პროცენტი | 81.6 | 64.5 | 57.0 | 55.0 | 54.0 | 52.0 | 51.0 |

- 2030 წლის 16 მარტამდე განხორციელდება ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის დავალიანების სრულად დაფარვა.
- მომავალი 20-25 წლის განმავლობაში ,,სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული სავალო ვალდებულებების სრული დაფარვა.

## ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები ფუნქციონალურ ჭრილში

### საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

- საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოს როლის ზრდა და ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება, NATO-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა, ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესება;
- დიპლომატიური არეალის გაფართოება;
- ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალების მართვა და მდგრადობის შენარჩუნება;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და სახელმწიფო სახსრების მართვის ეფექტურობის ზრდა;
- საერთაშორისო ფინანსურ სტატისტიკის სივრცეში საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება;
- მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
- განათლების ხელმისაწვდომობის თანაბარუფლებიანობის დაცვა;
- მეცნიერების განვითარება;
- დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება;

### თავდაცვა

- საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება;
- შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების ხარისხის გაუმჯობესება;
- შეიარაღებული ძალების ტექნიკური ბაზისა და ლოგისტიკის სრულყოფა;
- სამხედრო სამსახურის სრულ საკონტრაქტო სამსახურზე გადასვლა;

### საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

- საზოგადოებაზე ორიენტირებული და ეფექტურად ფუნქციონირებადი პოლიცია;
- მოქალაქეებისა და ქონების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ამაღლება;
- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის ჩამოყალიბება;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

### ეკონომიკური საქმიანობა

- ეკონომიკის ლიბერალიზაცია;

- სამეწარმეო გარემოს გაუმჯობასება;
- ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა;
- ტურისტული მიმზიდველობის გაზრდა და ეკოტურიზმის განვითარება;
- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამელიორაციო სისტემების მართვის რეფორმა;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება;
- სატყეო სექტორის მართვის საჯარო კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელის დანერგვა;
- სასურსათო უსაფრთხოება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა;
- ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების, ელექტროგადაცემის საშუალებებისა და ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფა.

**გარემოს დაცვა**

- დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება;
- ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმა;
- წყლის რესურსების მართვის სააუზო სისტემაზე გადასვლა;

**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**

- სასმელი წყლის მიწოდების და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- გაზმომარაგების სისტემების შექმნა-რეკონსტრუქცია;
- საბინაო-კომუნალური მომსახურების სფეროში მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის მოწესრიგება;

**ჯანმრთელობის დაცვა**

- საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხის და ხარისხიან მომსახურებაძე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

**დასვენება, კულტურა და რელიგია**

- სამუზეუმო რეფორმა;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია, სისტემატიზაცია - დოკუმენტირება და პოპულარიზაცია;
- სპორტისა და კულტურის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

**განათლება**

- ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა;
- ჩართვა ერთიან ევროპულ და ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში;
- სწავლის შედეგებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის დახვეწა;
- სწავლების პროცესში ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება;
- სახელოვნებო განათლების სისტემის რეფორმა.

**სოციალური დაცვა**

- დასაქმების ზრდის ხელშეწყობა;
- მოსახლეობის სიღარიბის და მოწყლვადობის შემცირება;
- საპენსიო სისტემის სრულყოფა;
- სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სოციალური უზრუნველყოფა;

# 2008-2011 წლებისათვის საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სამინისტროების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

**2008-2011 წლების პრიორიტეტული მიმართულებები:**

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა;
- ხაზინის განვითარება;
- საფინანსო პოლიტიკა;
- შემოსავლების მობილიზება;
- ინსტიტუციური განვითარება;

**მოსალოდნელი შედეგი:**

- საბიუჯეტო პროცესი დაფუძნებული იქნება MTEF პრინციპებზე, სახელმწიფო ბიუჯეტი მომზადდება GFSM-2001 სტანდარტების შესაბამისად, შეიქმნება ერთიანი საბიუჯეტო სისტემის, საბიუჯეტო პროცესის წარმართვის გამარტივების პირობები;
- საგარეო ვალის მდგრადობის შენარჩუნება;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირების გაძლიერება;
- სახელმწიფო ხარჯების მართვა, სახაზინო ოპერაციებისათვის საჭირო დროის მინიმუმამდე შემცირება;
- ელექტრონული ხაზინის დანერგვა;
- მთავრობის სააღრიცხვო სისტემის გაუმჯობესება;
- საგადასახადო სისტემის გამარტივებით სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
- ევროატლანტიკური ინტეგრაციის მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის და სამოქმედო მექანიზმების ჩამოყალიბება;
- საინვესტიციო პროექტების ფარგლებში დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხების მართვის ეფექტურობის გაზრდა, აღრიცხვიანობის სრულყოფა;
- შემოსავლების ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესება, გადამხდელების მხრიდან ნებაყოფლობითი გადახდის დონის ამაღლება, საგადასახადო დანაშაულების შემცირება;
- გადამხდელთა აღრიცხვის (რეგისტრაციის) სრულყოფა;
- საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლება;

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

- აღრიცხვის ეროვნული სტანდარტებისა და ინსტრუქციების შესაბამისობა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოსა (GFSM 2001) და საჯარო სექტორის საერთაშორისო ბუღალტრულ სტანდარტებთან (IPSAS);
- ეროვნული ბანკის ერთიან სისტემაში ჩართვა;
- კორუფციის რისკის შეფასების სისტემის შექმნა;
- გადასახადის გადამხდელთა მხრიდან საჩივრების რაოდენობის შემცირება;
- ვადაგადაცილებულ დავალიანებათა შემცირება.
- შემოსავლების სამსახურში გახსნილი სერვის-ცენტრების ოდენობა;
- გადასახადებთან დაკავშირებით სატელეფონო-საკონსულტაციო ქსელის შექმნა და ამ მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობის ზრდა;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 68.3 | 80.5 | 90.2 | 69.7 | 68.8 | 72.0 | 75.4 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.6% | 0.6% | 0.5% | 0.4% | 0.3% | 0.3% | 0.3% |
| მ.შ. ინვესტიციები | 0.2 | 6.2 | 28.5 | 8.0 | 4.0 | 4.0 | 4.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.00% | 0.05% | 0.17% | 0.04% | 0.02% | 0.02% | 0.01% |

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

### 2008-2011 წლების პრიორიტეტული მიმართულებები:

- ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი, ტრანსპორტისა და მშენებლობის დარგების შემდგომი ლიბერალიზაცია;
- ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- შეღავათიანი საგარეო სავაჭრო რეჟიმების დამყარება, ტექნიკური რეგულირების სფეროს განვითარება და ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების და ტურისტების მოზიდვის ხელშეწყობა;
- კერძო სამეწარმეო სექტორის განვითარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ქონების მართვის გაუმჯობესება და განსახელმწიფოებრივება.

**მოსალოდნელი შედეგი:**

- სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა;

- უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდა;
- ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი ხარისხის გაუმჯობესება;
- ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ზრდა და ათვისება;
- ტურისტების რაოდენობის ზრდა ქვეყნის ყველა რეგიონში;
- ყოფილი სახელმწიფო საკუთრების ობიექტებში ინვესტიციების მოზიდვა და მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**
- მაკროეკონომიკური პარამეტრების მაჩვენებლები და მათი დინამიკა;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოსადმი მინიჭებული რეიტინგები;
- საგზაო მშენებლობაში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობა;
- რეაბილიტირებული და ახალი საავტომობილო გზების სიგრძის მაჩვენებელი;
- ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები;
- უცხოური ინვესტიციების დინამიკა;
- უცხოელი ტურისტების რაოდენობის დინამიკა;
- ექსპორტის დინამიკისა და მისი დივერსიფიცირების მაჩვენებელი ;
- პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა და მიღებული შემოსავალი.

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | 162.3 | 195.1 | 279.9 | 377.4 | 427.0 | 480.1 | 529.2 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 1.4% | 1.4% | 1.7% | 2.0% | 2.0% | 2.0% | 2.0% |
| საგზაო დეპარტამენტის ინვესტიციები | 125.9 | 179.1 | 238.9 | 336.5 | 385.0 | 437.0 | 485.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 1.08% | 1.30% | 1.45% | 1.78% | 1.81% | 1.83% | 1.81% |

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

### 2008-2011 წლების პრიორიტეტული მიმართულებები

- უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის ჩამოყალიბება;

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- სააღსრულებო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება და მისი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- საექსპერტო საქმიანობის ორგანიზება და წარმოება ექსპერტიზის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
- საქართველოს ეროვნული არქივის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- უფასო იურიდიული დახმარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა;
- მატერიალურ-ტექნიკურად სრულად აღჭურვილი სისტემა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრობაციის სამსახური და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და გამოსწორება;
- ელექტრონული მმართველობის პრინციპზე აგებული სამოქალაქო რეესტრის სისტემა;
- კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული, მოქალაქეზე ორიენტირებული სამსახური;
- გაუმჯობესებული საინფორმაციო ბაზა, გამარტივებული სამუშაო პროცესი.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შესული სარჩელების რაოდენობის პროპორციულად ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის დადგენის შემთხვევების რაოდენობა;
- საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილი საარბიტრაჟო დავების რაოდენობა;
- გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობა;
- აღსრულებულ საქმეთა რაოდენობა;
- პატიმართა კვების ნორმის ოდენობა და საყოფაცხოვრებო პირობები;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 34.5 | 72.0 | 116.6 | 99.9 | 94.2 | 87.9 | 88.1 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.3% | 0.5% | 0.7% | 0.5% | 0.4% | 0.4% | 0.3% |
| მ.შ. ინვესტიციები | 6.0 | 25.9 | 50.0 | 33.3 | 24.3 | 14.5 | 11.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.05% | 0.19% | 0.30% | 0.18% | 0.11% | 0.06% | 0.04% |

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

**2008-2011 წლების პრიორიტეტული მიმართულებები:**

- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ხელის შეწყობა დამოუკიდებელი, უსაფრთხო და დაცული ქვეყნის ჩამოყალიბებაში, NATO-ში გაწევრიანების ხელშეწყობა, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა;
- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა;
- დიპლომატიური და ორგანიზაციული ქმედითობა.
- მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს ღირსეული ადგილის დასაკავებლად დიპლომატიური მუშაობის გააქტიურება, დიპლომატიური არეალის გაფართოება;
- საქართველოს მოქალაქეების დაცვა საზღვარგარეთ;

**მოსალოდნელი შედეგები:**

- წარმატებული და უფრო ეფექტური საგარეო პოლიტიკა და ეფექტური დიპლომატიის გატარება, რომელიც იქნება თანმიმდევრული, პროგნოზირებადი და მდგრადი;
- ორმხრივი და მრავალმხრივი საგარეო კავშირების გაძლიერება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური მუშაობა;
- მოზიდული ინვესტიციების მოცულობის ზრდა, ქართული პროდუქციისათვის პოტენციური ბაზრების იდენტიფიცირება, პარტნიორებთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის მიღწევა;
- სამინისტროს კომნპეტენციის ფარგლებში ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

- საქართველოს MAP-ში გაწევრიანება, როგორც NATO -ში გაწევრიანობის ერთ-ერთი წინაპირობა;
- ეროვნული წარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა;
- ექსპორტი/იმპორტის შეფარდების ზრდისა და დივერსიფიკაციის მაჩვენებლები;
- ინვესტიციების მოცულობის ზრდა;
- ტურიზმის ზრდის პროცენტული მაჩვენებლები;
- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებათა შელახვის ფაქტების რაოდენობრივი მაჩვანებლები;
- კრიზისულ სიტუაციებში საქართველოს მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ახალი დიპლომატიური წარმომადგენლობების რაოდენობა.

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 32.5 | 43.6 | 49.6 | 52.1 | 54.7 | 57.5 | 60.3 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.3% | 0.3% | 0.3% | 0.3% | 0.3% | 0.2% | 0.2% |
| მ.შ. ინვესტიციები | 0.0 | 1.2 | 1.1 | 1.2 | 1.2 | 1.2 | 1.2 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.00% | 0.01% | 0.01% | 0.01% | 0.01% | 0.01% | 0.00% |

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

## 2008-2011 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება;
- შეარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და ლოგისტიკის სისტემის გაუმჯობესება;
- NATO-ში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
- თავდაცვის მართვის სისტემის გაუმჯობესება.

**მოსალოდნელი შედეგი:**

- სამხედრო სამსახური გახდება პრესტიჟული, სამხედრო მოსამსახურე მოტივირებული, მისი ოჯახი იქნება სოციალურად დაცული, როგორც სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, ასევე მის შემდგომ. საბინაო ფონდის მოწესრიგება შეამცირებს საცხოვრებელი ფართის დაქირავების საკომპენსაციო სახსრებს;
- შედეგად მივიღებთ შეიარაღებული ძალების ისეთ ქვედანაყოფებს, რომლებიც პასუხობენ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს, ხოლო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის გამიზნული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა გახდება რაციონალური. შეიქმნება NATO-ს შერეულ ძალებთან თავსებადი ქვედანაყოფები, რომლებიც შეძლებენ NATO-ს და კოალიციურ ჯარების შემადგენლობებთან ერთობლივი დავალებების შესრულებას;
- გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობების უტილიზაცია შეამცირებს მათი შენახვის დანახარჯებს და ამავდროულად შეამცირებს გარემოს დაბინძურების და უბედური შემთხვევის ალბათობას. ლოგისტიკის სისტემის დახვეწა იქნება ბრძოლისუნარიანი შენაერთების უწყვეტი უზრუნველყოფის გარანტია;
- NATO-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებით საქართველო განხილული იქნება NATO-ში გაწევრიანების რეალურ კანდიდატად;
- ჩამოყალიბდება თანამედროვე და ეფექტური მართვის სისტემა;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | 366.8 | 684.0 | 513.3 | 736.0 | 809.6 | 780.0 | 796.2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 3.2% | 5.0% | 3.1% | 3.9% | 3.8% | 3.3% | 3.0% |
| მ.შ. ინვესტიციები | 153.9 | 265.1 | 160.8 | 242.0 | 248.6 | 195.3 | 187.2 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 1.3% | 1.9% | 1.0% | 1.3% | 1.2% | 0.8% | 0.7% |

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## 2008-2011 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;
- სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა;
- პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება;
- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მოსამსახურეთა სოციალური დაცვა;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპოდენციების დანიშნულებისამებრ ოპერატიული მიტანა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

### მოსალოდნელი შედეგი:

- სამართალდარღვევების შემცირება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ქვეყნის საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება;
- ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის აღკვეთა;
- დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის გაუმჯობესება;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპოდენციების დანიშნულებისამებრ ოპერატიულად და უსაფრთხოდ მიტანა.

### შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონე (საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტების შემცირება, უსაფრთხოების მაჩვენებლებების და ა.შ.)
- სახელმწიფო საზღვარზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის შემთხვევათა აღმოჩენის, შემცირებისა და აღმოფხვრის მაჩვენებლები

- პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების ზრდის ტემპი
- დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების და ეროვნული საგანძურის დაცვის დონე
- დანახარჯები მოსამსახურეთათვის დაწესებულ სოციალურ გარანტიებზე;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 182.2 | 275.1 | 297.8 | 373.5 | 311.8 | 326.4 | 341.8 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 1.6% | 2.0% | 1.8% | 2.0% | 1.5% | 1.4% | 1.3% |
| მ.შ. ინვესტიციები | 17.5 | 36.5 | 18.5 | 94.2 | 18.5 | 18.5 | 18.5 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.15% | 0.26% | 0.11% | 0.50% | 0.09% | 0.08% | 0.07% |

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### 2008-2011 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები:

- განათლების სისტემაში ინსტიტუციური მშენებლობის დასრულება, განათლების მართვის სისტემის სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა, ჩართვა ერთიან ევროპულ და ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში, ქვეყნის საზოგადოების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
- სწავლის პროცესში ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, მეცნიერების განვითარება და ცოდნაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

### მოსალოდნელი შედეგი:

- ჩამოყალიბდება განათლების ერთიანი სივრცე, მკაფიო ურთიერთკავშირით განათლების სხვადასხვა საფეხურებს შორის, სახელმწიფოსა და სუბიექტებს შორის უფლებამოვალეობების გამიჯვნის პირობებში ამოქმედდება დემოკრატიული და დეცენტრალიზებული მართვის მექანიზმები; ერთიანი საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრავს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე; შეიქმნება განათლების თანამედროვე მატერიალური ბაზა და განხორციელდება შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ამაღლდება განათლების ხარისხი; შეიქმნება ევროპული ტიპის კვალიფიკაციების სისტემა, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტები, ჩამოყალიბდება პედაგოგთა პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა, ქართული ენის სწავლებისა და ეთნიკურ უმცირესობებზე ორიენტირებული პროგრამები ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში;
- სწავლების ყველა საფეხურზე ფართოდ იქნება გამოყენებული ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიები; შეიქმნება მთელი ცხოვრების განმავლობაში

სწავლისათვის ხელსაყრელი პირობები, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარებას; გაგრძელდება განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის პროცესი, განისაზღვრება მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებები და მოხდება მათი უპირატესი განვითარება.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

- სახელმწიფო ხარჯები ერთ მოსწავლეზე მთლიანობაში და განათლების სხვადასხვა დონეზე;
- ახალაშენებული და განახლებული სასწავლო დაწესებულებების, სპორტული მოედნების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების რაოდენობა;
- არჩეული მართვის ორგანოებით საგანმანათლებლო დაწესებულებების ოდენობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პროცენტი, სადაც ჩატარებულია განმეორებითი არჩევნები;
- განათლების ხარისხის მაჩვენებლები OECD-ს ინდიკატორთა სკალაზე;
- მოსწავლეთა შედეგები საერთაშორისო შეფასების სისტემებში: PISA, TIMSS, PIRLS.
- განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაჩვენებლები საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში;
- პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების დამთავრების შემდეგ დასაქმების მაჩვენებლები;
- განათლების წლიურ ხარჯებში ოჯახის მონაწილეობის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები;
- რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები – თანაფარდობა მოსწავლე-მასწავლებელი.

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 80.9 | 342.5 | 382.2 | 452.9 | 498.2 | 589.9 | 630.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.7% | 2.5% | 2.3% | 2.4% | 2.3% | 2.5% | 2.3% |
| მ.შ. ინვესტიციები | 15.5 | 88.8 | 90.8 | 108.3 | 118.8 | 124.1 | 78.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.13% | 0.64% | 0.55% | 0.57% | 0.56% | 0.52% | 0.29% |

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო**

## 2008-2011 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სამუზეუმო რეფორმა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია, სისტემატიზაცია-დოკუმენტირება, პოპულაზაცია და დასავლეთთან ინტეგრირება;
- სპორტისა და კულტურის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- სახელოვნებო და სასპორტო განათლების სისტემის რეფორმა;
- ინსტიტუციური რეფორმა;

## მოსალოდნელი შედეგი:

- ქვეყნის ძირითად კოლექციათა მდგომარეობის დადგენა;
- ინვენტარიზებული სამუზეუმო ექსპონატები;
- მუზეუმების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სანახაობითი ფუნქციის აღდგენა;
- ძეგლთა გადარჩენისთვის საჭირო სადიაგნოსტიკო და სარეაბილიტაციო მიმართულებების განსაზღვრა;
- კულტურული მემკვიდრეობის საერთო ეროვნული მნიშვნელობის ნიმუშთა ფიზიკური გადარჩენა, სფეროს პრესტიჟულობის რეაბილიტაცია და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეაბილიტაციისა და მართვა-გამოყენების სფეროში, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური წინსვლის ფაქტორის ამოქმედება;
- საქართველოს რეგიონებში კულტურის ობიექტების აღდგენა, მათი თანამედროვე აპარატურით აღჭურვა;
- სპორტული მულტიფუნქციური კომპლექსების, ახალი მულტიფუნქციური სამოყვარულო სპორტული მოედნების, ხელოვნურსაფრიანი მინისაფეხბურთო მოედნების და პრიორიტეტული სახეობების ეროვნული ნაკრებების ძირითადი კომპლექსების აღდგენა;
- სახელოვნებო და სასპორტო განათლების სისტემის რეფორმირება – საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების კანონების შესაბამისად და საერთაშორისო გამოცდილების, მოთხოვნების და სტანდარტების გათვალისწინებით.;
- კულტურის სისტემის ორგანიზაციათა სამართლებრივი ფორმების განსაზვრა და მათი მართვის თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნება;

## შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:

- ეროვნული მუზეუმისა და უმნიშვნელოვანესი რეგიონული მუზეუმების ფონდსაცავთა ფიზიკური კონდიცია;
- თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ექსპოზიციათა რაოდენობა;
- მუზეუმებში დამთვალიერებელთა რაოდენობა;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში შესრულებული და ლეგალიზებული საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტთა რაოდენობა;
- ფიზიკურად გაჯანსაღებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რაოდენობა;

• აღდგენილი ობიექტების ბაზაზე სპორტული წრეების, შემოქმედებითი ჯგუფების და მათში ჩართული ადამიანების რაოდენობა;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | 34.4 | 53.8 | 65.4 | 60.3 | 62.8 | 62.8 | 65.4 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.3% | 0.4% | 0.4% | 0.3% | 0.3% | 0.3% | 0.2% |
| მ.შ. ინვესტიციები | 0.2 | 6.4 | 16.8 | 11.8 | 11.8 | 9.2 | 9.2 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.00% | 0.05% | 0.10% | 0.06% | 0.06% | 0.04% | 0.03% |

## საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

## 2008-2011 წლების პრიორიტეტული მიმართულებები:

• დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის პირობების შექმნა;
• დევნილთა ინტეგრაცია;
• მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;
• საზღვარგარეთის ქართულ დიასპორებთან ინტენსიური ურთიერთობების დამყარება და განვითარება;
• 1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე მუსულმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

• დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების მიზნით შექმნილი ხელსაყრელი პირობები;
• საზოგადოებრივი მნიშვნელობის კოლექტიური ცენტრებისათვის პირვანდელი ფუნქციის აღდგენა;
• კერძო ინვესტიციების განხორციელების მიზნით გამოთავისუფლებული კომერციული დატვირთვის მქონე კოლექტიური ცენტრები;
• ქვეყნის სრულყოფილი სამიგრაციო სისტემა;

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

• სპონტანურად დაბრუნებულ დევნილთა რაოდენობა, მათი საცხოვრებელი პირობები და სოციალურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა;
• იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს კომპაქტური განსახლების ობიექტები;

• დევნილთა ოდენობა, რომელთაც შეძლეს დასაქმება ან დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა;

• არალეგალური მიგრაციის ნაკადის ინტენსივობა, სახელმწიფო დახმარების მიმღებ დაზარალებულ ოჯახთა და უკუმიგრანტთა რაოდენობა;

• რეპატრიანტთა რაოდენობა.

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | 61.7 | 59.2 | 44.1 | 21.3 | 22.3 | 23.3 | 24.4 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.5% | 0.4% | 0.3% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% |
| მ.შ. ინვესტიციები | 1.8 | 4.0 | 2.0 | 1.7 | 1.7 | 1.7 | 1.7 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.02% | 0.03% | 0.01% | 0.01% | 0.01% | 0.01% | 0.01% |

## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

## 2008-2011 წლების პრიორიტეტული მიმართულებები

• საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;

• სამედიცინო მომსახურების ხარისხის და მასზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

• მოსახლეობის სიღარიბის და მოწყვლადობის შემცირება.

**მოსალოდნელი შედეგები:**

• საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებული მდგომარეობა;

• აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის გაზრდილი ფინანსური ხელმისაწვდომობა;

• გაუმჯობესებული სამედიცინო ინფრასტრუქტურა და განვითარებული ადამიანური რესურსები;

• ბრუნვაში მყოფი სამკურნალო საშუალებების ამაღლებული ხარისხი;

• გაუმჯობესებული გარემო მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების სოციალური ინტეგრაციისათვის;

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

• ღარიბი მოსახლეობის მიერ ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები აბსოლუტურ და შედარებით მაჩვენებლებში, ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს მიერ გაწეულ დანახარჯებში ღარიბ საოჯახო მეურნეობებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი;

● განახლებული სამედიცინო დაწესებულებების ხვედრითი წილი ჯანდაცვის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ სიმძლავრეში;

● გადამზადებული პროფესიული ადამიანური რესურსების ოდენობა საჭიროებით განსაზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში;

● სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროცედურით გამოვლენილი უხარისხო, ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკემენტების ხვედრითი წილი შემოწმებულ რაოდენობაში.

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 631.8 | 744.1 | 892.6 | 926.9 | 995.1 | 1,062.6 | 1,116.5 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 5.4% | 5.4% | 5.4% | 4.9% | 4.7% | 4.5% | 4.2% |
| მ.შ. ადმინისტრაციული ხარჯები | 0.0 | 25.1 | 22.6 | 22.6 | 23.7 | 24.9 | 26.2 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.00% | 0.18% | 0.14% | 0.12% | 0.11% | 0.10% | 0.10% |
| მ.შ პენსიები | 407.2 | 457.4 | 499.2 | 524.1 | 550.4 | 577.9 | 606.8 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 3.50% | 3.32% | 3.02% | 2.78% | 2.59% | 2.42% | 2.26% |
| მ.შ.სოციალური დახმარებები | 0.0 | 53.9 | 121.4 | 127.5 | 133.8 | 140.5 | 147.6 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.00% | 0.39% | 0.73% | 0.68% | 0.63% | 0.59% | 0.55% |
| მ.შ. სამკურნალო პროგრამები | 87.0 | 123.2 | 164.0 | 182.2 | 220.1 | 255.6 | 280.7 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.75% | 0.89% | 0.99% | 0.96% | 1.04% | 1.07% | 1.05% |
| მ.შ. სხვა ჯანდაცვითი და სვა სოციალური პროგრამები | 28.9 | 41.4 | 29.1 | 30.5 | 32.0 | 33.6 | 35.3 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.25% | 0.30% | 0.18% | 0.16% | 0.15% | 0.14% | 0.13% |
| მ.შ. ინვესტიციები | 26.1 | 43.2 | 56.3 | 40.0 | 35.0 | 30.0 | 20.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.22% | 0.31% | 0.34% | 0.21% | 0.16% | 0.13% | 0.07% |

## საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

## 2008 წლის პრიორიტეტული მიმართულებები:

● ჰიდრო და თბოელექტროსადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

● ელექტროგადაცემის საშუალებების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

● ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფა, ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

● ჰიდრორესურსების მაქსიმალურად ათვისება, გენერაციის ობიექტების სიმძლავრისა და იმედიანობის გაზრდა;

● ელექტროსისტემის მდგრადობისა და იმედიანობის გაზრდა, მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემასთან მუშაობის სინქრონიზაცია;

• მაგისტრალური გაზსადენისა და საქართველოს რეგიონებში გაზის ქსელების აღდგენა-რეაბილიტაცია და მშენებლობა.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

• ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნის საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ელექტროენერგიის გადაცემის ეფექტურობისა და დანაკარგების მაჩვენებელი,;

• გაზის მიწოდებისა და ტრანსპორტირების საიმედოობის გაზრდა, მაგისტრალური გაზსადენისა და შიდა ქსელების ექსპლუატაციის საიმედოობის მაჩვენებელი.

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო | 208.7 | 216.6 | 188.2 | 29.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 1.8% | 1.6% | 1.1% | 0.2% | 0.0% | 0.0% | 0.0% |
| მ.შ. ინვესტიციები | 68.2 | 204.7 | 184.5 | 27.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.59% | 1.48% | 1.12% | 0.14% | 0.00% | 0.00% | 0.00% |

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

## 2008-2011 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები:

• სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, სამელიორაციო სისტემების მართვის რეფორმა;

• მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა;

• სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უვნებლობის უზრუნველყოფა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

• სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდა;

• გაწყლოვანებული და დაშრობილი ფართობების ზრდა;

• სამელიორაციო სისტემების ეფექტური მართვა;

• ქვეყნის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა;

• ფალსიფიკაციის დონის შემცირება და ქართული ღვინის სასაქონლო ნიშნების დაცვის უზრუნველყოფა შიდა და გარე ბაზარზე;

• გასაღების ბაზრების მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს ღვინის ხარისხის ეფექტური სისტემის შექმნა;

• ქართული ღვინის პოტენციალის რეალიზება შიდა და საექსპოტრო ბაზარზე;

• მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა სურსათთან მიმართებაში;

- ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედობის შენარჩუნება;
- სურსათის ფალსიფიკაციის შემცირება;
- მაღალპროდუქტიული, მეცხოველეობის განვითარება;
- ქვეყნის, როგორც კეთილსაიმედო სავაჭრო პარტნიორის აღიარება.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

- გაწყლოვანებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებელი;
- დროულად და ხარისხიანად შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობის მაჩვენებელი;
- ფალსიფიცირებული პროდუქციის მაჩვენებელი;
- ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და გაზრდილი შემოსავალი;
- სურსათით გამოწვეული დაავადებების მაჩვენებელი;
- ეპიზოოტიური დაავადებების კერების რაოდენობის მაჩვენებელი;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 23.5 | 31.5 | 33.6 | 22.7 | 23.3 | 24.1 | 25.0 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.2% | 0.2% | 0.2% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% |
| მ.შ. ინვესტიციები | 2.9 | 7.8 | 18.7 | 7.2 | 7.1 | 7.1 | 7.1 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.02% | 0.06% | 0.11% | 0.04% | 0.03% | 0.03% | 0.03% |

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**

## 2008-2011 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სატყეო სექტორის მართვის საჯარო კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელის დანერგვა;
- წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლა;
- დაცული ტერიტორიების სისტემისა და ეკოტურიზმის განვითარება;
- ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმა.

**მოსალოდნელი შედეგი:**

- ტყის სფეროში კერძო სექტორის წილის ზრდა;
- რაციონალური ტყითსარგებლობა;
- ტყითსარგებლობის მონიტორინგის მარტივი და ქმედითი სისტემა;
- მდინარეების სააუზო მართვის რეჟიმზე გადასვლა;
- წყლის მართვის სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდა;

- წყლის რესურსების მოხმარებაში ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმების დამკვიდრება.
- ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- ბრაკონიერობის მასშტაბების შემცირება;
- მაქსიმალურად შენარჩუნებული ბიომრავალფეროვნება.
- ქალაქებსა და რაიონებში უკონტროლო ნაგავსაყრელების მინიმიზაცია;
- ნარჩენების შეგროვებაში, ტრანსპორტირებასა და განთავსება-გადამუშავებაში კერძო სექტორის გაზრდილი მოტივაცია.

**შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი:**

- უკანონო ჭრების მასშტაბები;
- გრძელვადიან სარგებლობაში გაცემული თყის ფართობები (საქართველოს ტყის ფართობების მინიმუმ 35%);
- ლეგალური დასაქმების მასშტაბები.
- ახალი დაცული ტერიტორიების ოდენობა;
- კერძო მმართველობაში გადაცემული დაბალი დაცვითი კატეგორიის მქონე დაცული ტერიტორიების ოდენობა;
- ტურისტთა რაოდენობა;
- ნარჩენებით დაბინძურების მასშტაბები;
- წყლის ხარისხი;

მლნ ლარი

| დასახელება | 2005წ. ფაქტი | 2006წ. ფაქტი | 2007წ. | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | 14.8 | 17.9 | 20.7 | 18.6 | 19.5 | 20.4 | 21.4 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% | 0.1% |
| მ.შ. ინვესტიციები | 0.0 | 1.7 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.2 | 1.2 |
| მშპ-ს მიმართ პროცენტულად | 0.00% | 0.01% | 0.02% | 0.01% | 0.01% | 0.01% | 0.00% |

## დანართი 1
## ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცხრილები

დანართი №1.1

## ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები

| | 2004<br>ფაქტ. | 2005<br>ფაქტ. | 2006<br>ფაქტ. | 2007<br>პროგნ. | 2008<br>პროგნ. | 2009<br>პროგნ. | 2010<br>პროგნ. | 2011<br>პროგნ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| (პროცენტული ცვლილება წინა წელთან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) | | | | | | | | |
| ეროვნული შემოსავალი და ფასები | | | | | | | | |
| ნომინალური მშპ | **14.7%** | **18.3%** | **18.6%** | **19.9%** | **14.2%** | **12.4%** | **12.4%** | **12.4%** |
| რეალური მშპ | **5.9%** | **9.6%** | **9.4%** | **10.0%** | **7.5%** | **7.0%** | **7.0%** | **7.0%** |
| ნომინალური მშპ, მლნ ლარი | **9824.3** | **11621.0** | **13783.9** | **16527.2** | **18878.0** | **21218.9** | **23851.7** | **26813.8** |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე | | | | | | | | |
| ლარი | **2275.5** | **2679.8** | **3124.5** | **3746.3** | **4279.2** | **4809.8** | **5406.6** | **6078.0** |
| აშშ დოლარი | **1187.2** | **1478.4** | **1758.7** | **2243.3** | **2593.4** | **2915.0** | **3276.7** | **3683.6** |
| ინვესტიციები, მლნ ლარი | **3121.7** | **3982.1** | **4922.6** | **5956.9** | **6701.2** | **7541.6** | **8591.4** | **9762.9** |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდის განმავლობაში | **5.7%** | **8.3%** | **9.2%** | **8.5%** | **5.0%** | **5.0%** | **5.0%** | **5.0%** |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლოს | **7.5%** | **6.2%** | **8.8%** | **8.5%** | **5.0%** | **5.0%** | **5.0%** | **5.0%** |
| მშპ-ს დეფლატორი | **8.4%** | **7.9%** | **8.5%** | **9.0%** | **6.3%** | **5.0%** | **5.1%** | **5.1%** |
| ნაერთი ბიუჯეტი | | | | | | | | |
| საგადასახადო შემოსავლები | **50.0%** | **26.4%** | **31.2%** | **40.0%** | **16.2%** | **15.8%** | **15.3%** | **14.7%** |
| ხარჯები და წმინდა დაკრედიტება | **23.3%** | **50.2%** | **36.1%** | **26.3%** | **11.4%** | **14.4%** | **12.4%** | **12.4%** |
| მიმდინარე ხარჯები | **8.3%** | **44.8%** | **28.6%** | **29.9%** | **13.8%** | **15.6%** | **12.4%** | **12.4%** |
| საგარეო სექტორი | | | | | | | | |
| ექსპორტი | **27.3%** | **33.8%** | **18.0%** | **31.7%** | **23.9%** | **22.3%** | **22.3%** | **22.3%** |
| იმპორტი | **33.3%** | **33.9%** | **33.5%** | **47.3%** | **14.8%** | **17.3%** | **17.3%** | **17.3%** |
| ფული და კრედიტი (პერიოდის ბოლოს) | | | | | | | | |
| სარეზერვო ფული | **44.2%** | **19.7%** | **19.1%** | **28.7%** | **20.3%** | **18.3%** | **18.3%** | **18.3%** |
| ფართო ფული M3 | **42.6%** | **26.4%** | **40.7%** | **34.5%** | **25.4%** | **22.8%** | **22.8%** | **22.8%** |
| ფულის მიმოქცევის სიჩქარე M3 | **6.50** | **6.08** | **5.12** | **4.57** | **4.16** | **3.81** | **3.49** | **3.19** |
| ფულის მულტიპლიკატორი M3 | **1.81** | **1.91** | **2.25** | **2.36** | **2.46** | **2.55** | **2.65** | **2.75** |
| მთლიანი საერთაშორისო რეზერვები | | | | | | | | |
| საშუალო თვიური იმპორტის ჯერადი | **1.9** | **1.7** | **2.5** | **2.7** | **3.3** | **3.4** | **3.4** | **3.4** |
| მლნ აშშ დოლარი | **383.7** | **475.1** | **930.8** | **1483.4** | **2075.4** | **2461.5** | **2893.3** | **3378.9** |
| საპროცენტო განაკვეთები (ეროვნულ ვალუტაში), პროცენტი | | | | | | | | |
| სესხებზე | **24.6%** | **20.7%** | **19.8%** | **19.4%** | **18.5%** | **17.9%** | **17.6%** | **17.6%** |
| დეპოზიტებზე | **7.2%** | **8.0%** | **10.1%** | **9.3%** | **8.9%** | **8.7%** | **8.5%** | **8.5%** |
| (პროცენტულად მშპ-სთან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული) | | | | | | | | |
| რეალური სექტორი | | | | | | | | |
| ინვესტიციები | **31.8%** | **34.3%** | **35.7%** | **36.0%** | **35.5%** | **35.5%** | **36.0%** | **36.4%** |
| ნაერთი ბიუჯეტი | | | | | | | | |
| სულ შემოსავლები და გრანტები | **22.0%** | **23.4%** | **26.7%** | **28.6%** | **28.0%** | **28.5%** | **29.0%** | **29.4%** |
| საგადასახადო შემოსავლები | **18.4%** | **19.7%** | **21.8%** | **25.4%** | **25.9%** | **26.6%** | **27.3%** | **27.9%** |
| სულ ხარჯები და წმინდა დაკრედიტება | **19.7%** | **25.0%** | **28.7%** | **30.2%** | **29.5%** | **30.0%** | **30.0%** | **30.0%** |
| მიმდინარე ხარჯები | **15.6%** | **19.1%** | **20.7%** | **22.4%** | **22.4%** | **23.0%** | **23.0%** | **23.0%** |
| ბალანსი (ვალდებულებები) | **2.3%** | **-1.6%** | **-1.9%** | **-1.6%** | **-1.5%** | **-1.5%** | **-1.0%** | **-0.6%** |
| ბალანსი (საკასო) | **-0.3%** | **-2.5%** | **-2.2%** | **-1.7%** | **-1.5%** | **-1.5%** | **-1.0%** | **-0.6%** |
| საგარეო სექტორი | | | | | | | | |
| სავაჭრო ბალანსი | **-16.6%** | **-17.8%** | **-24.0%** | **-31.7%** | **-28.9%** | **-28.5%** | **-28.0%** | **-27.3%** |
| მიმდინარე ანგარიშის ბალანსი | | | | | | | | |
| ტრანსფერტების გარეშე | **-14.7%** | **-16.4%** | **-21.8%** | **-29.8%** | **-26.7%** | **-26.3%** | **-25.6%** | **-24.8%** |
| ტრანსფერტების ჩათვლით | **-6.6%** | **-10.8%** | **-15.2%** | **-23.1%** | **-20.7%** | **-20.4%** | **-19.8%** | **-19.1%** |
| სახელმწიფო ვალები | | | | | | | | |
| საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან | **32.9%** | **26.8%** | **21.1%** | **16.9%** | **15.8%** | **15.0%** | **14.9%** | **14.2%** |
| საგარეო ვალი პროცენტულად ექსპორტთან | **109.4%** | **80.2%** | **66.5%** | **50.3%** | **43.4%** | **38.0%** | **34.6%** | **30.3%** |
| საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან | **6.4%** | **5.1%** | **6.0%** | **4.9%** | **1.7%** | **1.5%** | **1.3%** | **1.2%** |
| საგარეო ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან და გრანტებთან | **156.9%** | **115.8%** | **81.8%** | **59.8%** | **56.5%** | **52.6%** | **51.3%** | **48.3%** |
| მთავრობის ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან და გრანტებთან | **229.4%** | **172.3%** | **122.8%** | **91.4%** | **84.2%** | **76.2%** | **71.4%** | **65.5%** |
| საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან და გრანტებთან | **9.2%** | **7.4%** | **7.3%** | **5.8%** | **2.2%** | **2.0%** | **1.9%** | **1.9%** |

შენიშვნა: გაანგარიშებები გაკეთებულია მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენებით და მონაცემების თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, გასული პერიოდის ზოგირთი სტატისტიკური მონაცემი კორექტირებულია

დანართი №1.2

## ეროვნული ანგარიშები

| | 2004<br>ფაქტ. | 2005<br>ფაქტ. | 2006<br>ფაქტ. | 2007<br>პროგნ. | 2008<br>პროგნ. | 2009<br>პროგნ. | 2010<br>პროგნ. | 2011<br>პროგნ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| (მლნ ლარი, მიმდინარე ფასებით) | | | | | | | | |
| სამომხმარებლო ხარჯები | **8336.1** | **9709.6** | **12169.5** | **15817.5** | **17631.7** | **19729.2** | **21936.3** | **24366.3** |
| მთავრობა | **641.2** | **1018.7** | **1240.2** | **1931.2** | **2462.9** | **2942.7** | **3374.8** | **3948.3** |
| კერძო | **7694.9** | **8690.9** | **10929.3** | **13886.3** | **15168.8** | **16786.5** | **18561.5** | **20417.9** |
| ინვესტიციები | **3121.7** | **3982.1** | **4922.6** | **5956.9** | **6701.2** | **7541.6** | **8591.4** | **9762.9** |
| მთავრობა | **346.0** | **660.2** | **1069.7** | **1284.2** | **1340.3** | **1485.3** | **1669.6** | **1877.0** |
| კერძო | **2775.7** | **3321.9** | **3853.0** | **4672.7** | **5360.8** | **6056.2** | **6921.8** | **7886.0** |
| ექსპორტი | **3100.1** | **3921.9** | **4534.4** | **5614.3** | **6870.1** | **8399.9** | **10270.2** | **12557.1** |
| იმპორტი | **4733.6** | **5992.7** | **7842.7** | **10861.5** | **12325.0** | **14451.8** | **16946.3** | **19872.5** |
| მთლიანი შიდა პროდუქტი | **9824.3** | **11621.0** | **13783.9** | **16527.2** | **18878.0** | **21218.9** | **23851.7** | **26813.8** |
| წმინდა ფაქტორული შემოსავლები | **187.5** | **165.6** | **304.8** | **329.6** | **417.1** | **476.1** | **567.5** | **666.6** |
| მთავრობა | **-48.5** | **-38.5** | **-36.0** | **-78.7** | **-47.7** | **-44.8** | **-47.8** | **-53.3** |
| კერძო | **236.0** | **204.1** | **340.8** | **408.2** | **464.8** | **520.9** | **615.4** | **719.9** |
| მთლიანი ეროვნული პროდუქტი | **10011.7** | **11786.6** | **14088.7** | **16856.8** | **19295.1** | **21695.0** | **24419.2** | **27480.5** |
| ტრანსფერტები უცხოეთიდან | **793.3** | **651.1** | **913.7** | **1105.5** | **1136.3** | **1255.9** | **1387.9** | **1533.5** |
| მთავრობა | **124.7** | **104.6** | **194.3** | **242.9** | **151.0** | **148.5** | **143.1** | **134.1** |
| კერძო | **668.6** | **546.5** | **719.3** | **862.6** | **985.2** | **1107.4** | **1244.8** | **1399.4** |
| მთლიანი ეროვნული განკარგვადი შემოსავალი | **10805.0** | **12437.6** | **15002.3** | **17962.2** | **20431.4** | **22950.9** | **25807.2** | **29013.9** |
| კერძო განკარგვადი შემოსავალი | **9535.5** | **10922.5** | **12928.5** | **15015.4** | **16908.4** | **18827.5** | **20991.0** | **23347.7** |
| მთლიანი დანაზოგები | **3121.6** | **3982.1** | **4922.7** | **5956.9** | **6701.2** | **7541.6** | **8591.4** | **9762.9** |
| ეროვნული დანაზოგები | **2468.9** | **2728.0** | **2832.8** | **2144.7** | **2799.7** | **3221.7** | **3870.8** | **4647.7** |
| მთავრობა | **628.3** | **496.4** | **833.6** | **1015.6** | **1060.1** | **1180.7** | **1441.3** | **1717.9** |
| კერძო | **1840.6** | **2231.6** | **1999.2** | **1129.1** | **1739.6** | **2041.0** | **2429.6** | **2929.8** |
| საგარეო დანაზოგები (მიმდ. ანგ. დეფიციტი) | **652.6** | **1254.1** | **2089.8** | **3812.2** | **3901.5** | **4319.8** | **4720.6** | **5115.3** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მემორანდუმის მუხლები** | | | | | | | | |
| მშპ-ს ზრდა, % | **5.9%** | **9.6%** | **9.4%** | **10.0%** | **7.5%** | **7.0%** | **7.0%** | **7.0%** |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე | | | | | | | | |
| ლარი | **2275.5** | **2679.8** | **3124.5** | **3746.3** | **4279.2** | **4809.8** | **5406.6** | **6078.0** |
| აშშ დოლარი | **1187.2** | **1478.4** | **1758.7** | **2243.3** | **2593.4** | **2915.0** | **3276.7** | **3683.6** |
| მშპ-ს დეფლატორი (2001 =100) | **118.6%** | **128.0%** | **138.9%** | **151.4%** | **160.9%** | **169.0%** | **177.5%** | **186.5%** |
| პროცენტული ცვლილება, % | **8.4%** | **7.9%** | **8.5%** | **9.0%** | **6.3%** | **5.0%** | **5.1%** | **5.1%** |
| **პრიორიტეტული მიმართულებები** | 1.უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის ჩამოყალიბება | 2.ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა | 3.სააღსრულებო სისტემის ეფექტური ფუნქციონირება და მისი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა | 4.სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სიტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა |
| მიმართულების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე | დღესდღეობით უფასო სამართლებრივი დახმარება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებით შემოიფარგლება; არ არსებობს ეფექტური სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა ადამიანისათვის უფასო იურიდიული დახმარების შეთავაზება. | ბოლო წლებში გაიზარდა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი განცხადებების რაოდენობა. ამის გამო საჭირო გახდა:<br>ა) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br><br>1. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფო პოზიციების ეფექტიანი წარმოდგენა და დაცვა;<br>2. სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების განმტკიცება.<br>ბ) საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br>საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ არსებულ საარბიტრაჟო დავებში სახელმწიფო პოზიციების ეფექტიანი წარმოდგენა და დაცვა. | მექანიზმი, რომელიც ქვეყანაში დაგროვილი აღუსრულებელი საქმეების აღსრულებას სწრაფად და ეფექტურად შეუწყობს ხელს, ამჟამად არაეფექტურია და საჭიროებს სრულყოფას | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემები ვერ პასუხობენ თანამედროვე სტანდარტებს |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო) | საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სისხლის სამართლის საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების განხორციელება დაიწყო 2007 წლიდან, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე 2009 წლიდან დაიწყება | 2006-2011 | 2007-2011 | 2006-2011 |
| მოსალოდნელი შედეგები | უფასო იურიდიული დახმარების სისტემის შექმნა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. | ა) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br>1. წარდგენილ განაცხადთა რაოდენობის პროპორციულად საქართველოსთვის პოლიტიკური და მატერიალური პასუხისმგებლობის დადგენის შემთხვევები შემცირდება;<br>2. სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა ჩამოყალიბდება.<br>ბ) საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br>საქართველოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო დავების პრევენცია და უკვე არსებულ დავებში საქართველოსთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი შედეგი იქნება უზრუნველყოფილი. | ყველა სასამართლო გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იქნება აღსრულებული | ევროპული ციხის წესებით განსაზღვრული სტანდარტები დამკვიდრდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; რესოციალიზაციის პროგრამების შედეგად მოხდება პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტირება საზოგადოებაში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შედეგების<br>შეფასების<br>კრიტერიუმები | სტატისტიკური<br>ანალიზის<br>მონაცემებზე<br>დაყრდნობით<br>მიღწეული იქება<br>ყველა ადამიანის<br>ეფექტური და<br>ხარისხიანი უფასო<br>იურიდიული<br>დახმარებით<br>უზრუნველყოფა. | ა) ადამიანის უფლებათა ევროპულ<br>სასამართლოში<br>წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br>ადამიანის უფლებათა ევროპულ<br>სასამართლოში შესული სარჩელების<br>რაოდენობის პროპორციულად<br>ევროპული სასამართლოს მიერ<br>საქართველოს მხრიდან ადამიანის<br>უფლებათა ევროპული კონვენციით<br>ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის<br>დადგენის შემთხვევების<br>შემცირებული რაოდენობა.<br>ბ) საერთაშორისო არბიტრაჟებში<br>სახელმწიფო წარმომადგენლობასთან<br>მიმართებით: საქართველოს<br>სასარგებლოდ გადაწყვეტილი<br>საარბიტრაჟო დავების რაოდენობის<br>ზრდა. | ქვეყანაში არ იქნება<br>არცერთი<br>აღუსრულებელი საქმე;<br>დასრულებული<br>საქმეების და<br>სახელმწიფო ბიუჯეტის<br>სასარგებლოდ<br>ამოღებული თანხების<br>ოდენობის სტატისტიკა<br>ზრდადი იქნება. | თბილისში, გლდანი-<br>ნაძალადევის რაიონში 4000<br>პატიმარზე<br>გათვალისწინებული<br>წინასწარი საპატიმრო<br>დაწესებულება, 2007-2008<br>წლებში დაიწყება და<br>დამთავრდება სამეგრელოში<br>და აჭარაში ახალი<br>დაწესებულებების აშენება,<br>2008-2009 წლებში აშენდება<br>დაწესებულება კახეთში, 2009-<br>2010 წლებში ღია ტიპის ორი<br>საპატიმრო დაწესებულება<br>აღმოსავლეთ და დასავლეთ<br>საქართველოში, 2007-2008<br>წლებში გარემონტდება ყველა<br>საპყრობილე-დაწესებულება,<br>2011 წლამდე საპყრობილე-<br>დაწესებულებებში<br>განთავსებული პატიმრების<br>რაოდენობა შეესაბამისობაში<br>იქნება მოყვანილი<br>საპყრობილე-<br>დაწესებულებების შევსების<br>ნორმებთან. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | მოსახლეობის უფლებებისა და სახელმწიფოს მხრიდან უფასო იურიდიული დახმარების არსებობის შესახებ მათი არაინფორმირებულობა. | ა) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br>1. სხვადასხვა სახელმწიფო უწყების არაეფექტიანი თანამშრომლობა;<br><br>2. სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებათა უგულებელყოფა;<br><br>3. საქართველოს კანონმდებლობის შეუსაბამობა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან;<br><br>ბ) საერთაშორისო არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობასთან მიმართებით:<br><br>1. მიმდინარე საარბიტრაჟო დავების წარმომავლობა ძველი კორუფციული გარიგებებიდან;<br><br>2. ვინაიდან ქართული ფირმები ვერ გვთავაზობენ მომსახურების იმ ხარისხს, რომელიც გვჭირდება, გვიწევს ძვირადღირებული მაღალკვალიფიციური იურიდიული ფირმების საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. | სახელმწიფოს დავალიანება ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ არის გაცილებით დიდი, ვიდრე აღნიშნულის დასაფარად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები, რაც შეუძლებელს ხდის ერთიანად დავალიანების გასტუმრებას | პატიმართა და პრობაციონერთა რაოდენობის დინამიური ზრდა, რაც არაადქვატურია როგორც ადგილების რაოდენობასთან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (და ვერ მოხერხდება მშენებლობითა და რემონტით საჭიროების უზრუნველყოფა თუ მზარდი ტენდენცია შენარჩუნებულ იქნა), ასევე - პერსონალის რაოდენობასთან (როგორც სასჯელაღსრულების, ასევე - პრობაციის სისტემებში) |

| მხარჯავი დაწესებულება | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | | |
|---|---|---|---|
| პრიორიტეტული მიმართულებები | 5.საექსპერტო საქმიანობის ორგანიზება და წარმოება ექსპერტიზის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე | 6.საქართველოს ეროვნული არქივის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. | 7.ფუნქციონირებადი სამოქალაქო რეესტრის შექმნა |
| მიმართულების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე | სასამართლო ექსპერტიზა არის მართლმსაჯულების შემადგენელი ნაწილი და  სტატისტიკის თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილებების 90% ეყრდნობა ექსპერტის დასკვნას, აგრეთვე საფუძვლად ედება განაჩენს; ქვეყანაში კი არ არსებობს თანამედროვე საექსპერტო დაწესებულება; მიზანშეწონილია კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. | ეროვნული არქივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სავალალო მდგომარეობაშია, ეროვნული საარქივო ფონდი განადგურების პირასაა, არ არსებობს სავალდებულო ასლის ინსტიტუტი; თუ არ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები ქვეყანა დარჩება დოკუმენტური მეხსიერების გარეშე. | სამოქალაქო რეესტრის სფეროში დაწყებული რეფორმება საჭიროებს ბოლომდე მიყვანას; |
| განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო) | 2007-2011 | 2007-2011 | 2006-2011 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგები | სამართალწარმოების ვადების ხარისხის გაუმჯობესება, მაღალკვალიფიციური და მაღალტექნოლოგიური საექსპერტო ბიურის ამოქმედება, რაც ხელს შეუწყობს გაუხსნელ დანაშაულთა საქმეების შემცირებას და პროვოცირებული დანაშაულის თავიდან აცილებას.<br>დაცული იქნება მოქალაქეთა უფლებები, ამაღლდება ექსპერტიზის ხარისხი. | საქართველოს ეროვნული არქივის აღდგენილ-გარემონტებული შენობა-ნაგებობები და გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ეროვნული საარქივო ფონდის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტების სავალდებულო ასლები და გამდიდრებული საარქივო ფონდი; საქმისწარმოების თანამედროვე მეთოდები; მოქალაქეთა და მკვლევართა თანამედროვე მეთოდებით მომსახურება. | მომხმარებელზე ორიენტირებული სამსახური; ელექტრონული მმართველობის პრინციპზე აგებული სამოქალაქო რეესტრის სისტემა; ბიომეტრიული პასპორტების, პლასტიკური ბარათების გაცემა; ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდებული მომსახურება; მონაცემთა ბაზის სხვა ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომობა, სამოქალაქო აქტების, პირადობისა და პასპორტების სრულყოფილი ერთიანი მონაცემთა ბაზა; გამჭვირვალე მომსახურების ცენტრები.<br>მონაცემთა ერთიანი ბაზა; კმაყოფილი მომხმარებელი; |
| შედეგების შეფასების კრიტერიუმები | ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლის შესაძლებლობა შეამცირებს ექსპერტიზის შესრულების ვადებს, შემცირდება გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობა. | ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის ნორმატივების შესრულება; დოკუმენტების ფიზიკურ-ქიმიური პირობების დაცვა; საზოგადოების ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. | მინიმალური გადაცდომები საარჩევნო სიებში. |
| სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | ამ სფეროში დუბლირებების არსებობა, რაც უნდა გასწორდეს და დარეგილირდეს საკანონმდებლო ბაზით. | საარქივო ფონდისათვის გადასაცემი მასალების დიდი ოდენობა, პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული) არქივის სტატუსის გაურკვევლობა და არქივსაცავებში თავისუფალი ფართის უქონლობა. საკმარისი სახსრების უქონლობა. | ერთიანი სამთავრობო ქსელის არარსებობა, მათ შორის, ქსელის შექმნისათვის აუცილებელი გაყვანილობის არარსებობა რეგიონებში. |

| მხარჯავი დაწესებულება | **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტული მიმართულებები | **1. დამოუკიდებელი, უსაფრთხო და დაცული ქვეყნის ჩამოსაყალიბებლად სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი მიმართულებები**<br><br>1.1 ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა;<br>1.2 ნატოში გაწევრიანების ხელშეწყობა -- MAP – თან მიერთება და მისი განხორციელება<br>1..3 ევროკავშირთან ENP-ის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა;<br>1.4 რეგიონალური თანამშრომლობა (სუამი, ბისეკი, CDC და სხვა) რეგიონში სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. | **2. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში (ეფექტური ეკონომიკური დიპლომატია)**<br><br>2.1 ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით დიპლომატიური მექანიზმების გამოყენება;<br>2.2 საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება;<br>2.3. საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობების გაღრმავება, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა და მონიტორინგი;<br>2.4 ინვესტიციების მოზიდვა, პოტენციური ბაზრების იდენტიფიცირება ქართული პროდუქციისათვის, ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმების მიღწევა პარტნიორებთან;<br>2.5 ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მუშაობის განხორციელება. | **3. მსოფლიო ასპარეზზე საქართველოსთვის ღირსეული ადგილის დასაკავებლად დიპლომატიური მუშაობის გააქტიურება**<br><br>3.1 საქართველოს იმიჯის განმტკიცებისათვის ურთიერთობების გაღრმავება;<br>3.2 საერთაშორისო სისტემაში საქართველოს როლის ზრდის ხელშეწყობა;<br>3.3 საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში საქართველოს მნიშვნელობის წარმოჩინება;<br>3.4 საზღვარგარეთ არსებულ დიასპორებთან ურთიერთობების გააქტიურება. | **4. საქართველოს მოქალაქეების დაცვა საზღვარგარეთ**<br><br>4.1 საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა;<br>4.2 საზღვარგარეთ ქართული ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა;<br>4.3. საქართველოს მოქალაქეების ხელშეწყობა საზღვარგარეთ მოგზაურობაში, სწავლასა და მუშაობაში;<br>4..4 ახალი დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულოების გახსნა;<br>4.5 საქართველოს მოქალაქეებისთვის უცხოური ვიზების გაცემის პროცედურების ლიბერალიზაციის და გაუმჯობესების ხელშეწყობა. | **5. დიპლომატიური და ორგანიზაციული ქმედითობა**<br><br>5.1 ორგანიზაციული გაუმჯობესება;<br>5.2 დაგეგმვა და რესურსები:<br>- მოკლე და საშუალოვადიანი დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება<br>- რესურსების მართვის ოპტიმიზაცია. |
| მიმართულებების პრიორიტეტული დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე | • ამჟამად საქართველოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება მის მთელს ტერიტორიაზე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის მდგრადი განვითარების პერსპექტივებს. შესაბამისად, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტია.<br>• ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიოროტეტია, რამდენადაც ეს უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.<br>• ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება და ამ ორგანიზაციაში | • დღესდღეობით საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული, რასაც ხელს უწყობდა წლების მანძილზე ქვეყნაში არსებული კორუფცია და პოლიტიკური არასტაბილურობა. ქვეყნის განვითარების ახალ საწყისებზე გადასვლასთან ერთად უმნიშვნელოვანესია თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სრულფასოვნად ჩაბმა, ქვეყნისთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ქვეყნებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება;<br>• ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და უსაფრთხოება | • წლების მანძილზე იზოლაციაში ყოფნამ გამოიწვია ქვეყნის შესახებ არასაკმარისი და არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება, რის შედეგადაც საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა სახის პოტენციალი არასრულად იქნა წარმოჩენილი და გამოყენებული;<br><br>*მეტად მნიშვნელოვანია:*<br>• საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში საქართველოს როლის წარმოჩენა;<br>• ევროპული და ევროატლანტიკური ენერგეტიკულ უსაფრთხოების | • საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა;<br>• ქვეყნის კვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა;<br>• ქვეყნის ინტერესების უფრო ფართო არეალზე გატანის და დაცვის მიზნით საჭიროა დიპოლმატიური წარმომადგენლობების ქსელის გაფართოება. | • ქვეყანაში მიმდინარე სამთავრობო სტრუქტურების რეფორმირების კვალდაკვალ აუცილებელია საგარეო საქმეთა სამინისტროს (ცენტრალური აპარატის და საზღვარგარეთ დიპლომატიური დაწესებულებების) მართვის და ორგანიზაციის გაუმჯობესება და დღევანდელობასთან შესაბამისობაში მოყვანა<br>• მართვის უფრო ეფექტური სისტემის შემუშავება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივის მოახლოება საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ თვალსაზრისით სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (        ) სათანადოდ შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს;<br>• შავი ზღვის რეგიონის საშუალებით ხდება საქართველოს, როგორც ევროპული ქვეყნის იდენტიფიცირება. შავი ზღვა/კავკასიის რეგიონში განვითარებული მოვლენები პირდაპირ აისახება ჩვენს ქვეყანაზე. ამდენად რეგიონული თანამშრომლობის განვითარება საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. | მოითხოვს ქვეყნის ექსპორტისათვის ხელსაყრელი ნიადაგის შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, არსებული თუ პოტენციური სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების ამუშავებას და რეგიონული და რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას;<br>• ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელობა და ამ მიზნით ენერგომომარაგების დივერსიფიცირების აუცილებლობა. | თვალსაზრისით საქართველოს შესაძლებლობების წარმოჩენა;<br>• საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა და მისი პოპულარიზაცია. | | მოითხოვს პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის დანერგვას, რომლის საფუძველზეც მოხდება რესურსების განაწილება და მართვა;<br>• სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება მოითხოვს მაღალკვალიფიციური და ქმედითუნარიანი კადრების მომზადებას;<br>• დროული და უსაფრთხო მუშაობისათვის აუცილებელია სამინისტროში თანამედროვე ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის დანერგვა; |
| განხორციელების სავარაუდო ვადები | **2004-2010** | **მიმდინარე (2004 წლიდან)** | **2007- 2010** | **2007- 2010** | **2007- 2010** |
| მოსალოდნელი შედეგები | • დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით ქვეყანაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;<br>• ნატო-ში გაწევრიანებისათვის (MAP-თან მიერთება) დიპლომატიური კუთხით შესაბამისი ნიადაგის მომზადება;<br>• ENP მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება, რაც დადებითად აისახება ჩვენს პოლტიკურ და ეკონომიკურ მიზნებზე.<br>• რეგიონში კეთილმეზობლური და ეკონომიური თანამშრომლობის ხარისხის ამაღლება, რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება. | • საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული მძლავრი ეკონომიკის შექმნა;<br>• ენერგომომარაგების დივერსიფიცირება.<br>• ინვესტიციების მოცულობის ზრდა;<br>• ქვეყნის სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალის უკეთ გამოყენება.<br>• რეგიონული ეკონომიკური; პროექტების განხორციელება.<br>• ეროვნული პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გატანა და აღნიშნულ ბაზრებზე დამკვიდრება. | • საქართველოსთვის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრება საერთაშორისო არენაზე;<br>• საერთაშორისო უსაფრთხოების, ევროპული და ევროატლანტური ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს მნიშვნელობის გაზრდა საერთაშორისო არენაზე წარმოჩენა;<br>• ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარდგენა საერთაშორისო არენაზე;<br>• ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. | • საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაუმჯობესება და უკეთ დაცვა;<br>• საზღვარგარეთ ქართული ბიზნესების დაცულობა;<br>• საქართველოს ინტეგრაცია უმაღლესი განათლების ევროპულ სისტემაში;<br>• დიპლომატიური და საკონსულო ქსელის გაფართოება | • მართვის და დაგეგმვის ორგანიზაციული კულტურის ინსტიტუციონალიზაცია;<br>• დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაობის ხარისხის ამაღლება, მართვის სისტემის თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბება, ორგანიზაციული სტრუქტურის, კადრების დაკომპლექტებისა და მომზადების პროცესის დახვეწა; |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შედეგების შეფასების კრიტერიუმები | • მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით;<br>• საქართველოს MAP-ში გაწევრიანება;<br>• ევროკავშირის ქვეყნებთან ENP-ს სამოქმედო გეგმის შესრულება და ურთიერთობის გაღრმავება;<br>• რეგიონულ ფორმატებში აქტიური თანამშრომლობა. | • მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის პროცენტული მაჩვენებლები;<br>• ეროვნული წარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა;<br>• ექსპორტი/იმპორტის შეფარდების ზრდისა და დივერსიფიკაციის მაჩვენებლები;<br>• ინვესტიციების მოცულობის ზრდის მაჩვენებლები;<br>• საქართველოს ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის შედეგად საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდა და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება. | • საქართველოს შესახებ მსოფლიო საზოგადოების აზრის გაუმჯობესება;<br>• უცხოურ პრესაში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული პოზიტიური მასალების რაოდენობა;<br>• საერთაშორისო გამოკითხვების მაჩვენებლები;<br>• ტურიზმის ზრდის პროცენტული მაჩვენებლები. | • საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებათა შელახვის ფაქტების შემცირება;<br>• საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს წარმომადგენლობებისადმ ი ნდობის გაზრდა;<br>• კრიზისულ სიტუაციებში საქართველოს მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის რაოდენობრივი მაჩვენებლები;<br>• საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების გამარტივებული პროცედურები;<br>• ახალი დიპლომატიური წარმომადგენლობების რაოდენობა. | • მაღალკვალიფიციურ ი კადრების რიცხვის ზრდა;<br>• ეფექტური და რაციონალური მართვა;<br>• დიპლომატიური სამსახურის ქსელის გაფართოება; |
| სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | • რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკა და თვითგამოცხადებული რეჟიმების მიერ სამშვიდობო ინიციატივების სისტემატური ჩაშლა;<br>• ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ ალიანსის გაფართოების, ან საქართველოს გაწევრიანების საკითხის განხილვის გახანგძლივება;<br>• რეგიონული კონფლიქტების მოუწესრიგებლობა. | • ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორების არაპროგნოზირებადი ქმედებები;<br>• დემოკრატიული ინსტიტუტების და არასამთავრობო სექტორის სისუსტე და მცირე გამოცდილება;<br>• ქვეყნის დამოკიდებულება ერთ ენერგომიმწოდებელზე. | • საქართველოს შესახებ არასწორი ინფორმაციის და ნეგატიური პროპაგანდის გავრცელების მცდელობები | • არალეგალურად მყოფი მოსახლეობის უნდობლობა საქართველოს საელჩოებისა და საკონსულოებისადმი;<br>• საკონსულოების ნაკლებობა. | • პროფესიული კადრების დეფიციტი. |

| პრიორიტეტული მიმართულებები | 1.სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება | 2. შეარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების გაუმჯობესება | 3. მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და ლოგისტიკის სისტემის გაუმჯობესება | 4. ნატოში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა | 5. თავდაცვის მართვის სისტემის გაუმჯობესება |
|---|---|---|---|---|---|
| **მიმართულებების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე** | საქართველოში არსებული უმუშევრობის მიუხედავად კვლავ პრობლემად რჩება თავდაცვის სამინისტროს სათანადო კვალიციური კადრებით დაკომპლექტება. აღსანიშნავია, რომ სამინისტროში ასევე ადგილი აქვს კადრების გადინებას. თავდაცვის სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გზას წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება, სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის სისტემის დახვეწა და დასავლეთის ქვეყნების სტანდარტებთან მიახლოვება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა და შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება. | მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა, ევრო-ატლანტიკურ სტანდარტებთან მიახლოების და საბრძოლო შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ამაღლების მიზნით საჭიროა შეიარაღებული ძალების სტრუქტურის დახვეწა, სამხედრო შენაერთების ოპტიმალური დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით, სისტემატიური და გეგმაზომიერი გადახალისება, ახალი კადრების შერჩევა და რეკრუტირება, პროფესიონალური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო-საწვრთნელი ღონისძიებების, სამხედრო-სასწავლო პროგრამებისა და საველე წვრთნების ინტენსივობის გაზრდა. | საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე დადებითი პროცესების მიუხედავად შეიარაღებულ ძალების მატერიალურ ტექნიკური ბაზა კვლავ ჩამორჩება ევროატლანტიკური ქვეყნების სტანდარტებს. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმიზაციისათვის, საჭიროა განსაზღვრული სტანდარტებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაკომპლექტება, სერვისის სისტემის მოდერნიზაცია, უძრავ-მოძრავი ქონების მოვლა-შენახვის გაუმჯობესება, სასაწყობო მეურნეობების სიმძლავრეების ზრდა ახალი მოთხოვნების შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღებისა და მოდერნიზაციის გეგმაზომიერი ღონისძიებების გატარება. | საქართველოს სახელმწიფო თავისი განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე ურყევად დგას დასავლეთის მოწინავე დემოკრატიულ კავშირებში გაერთიანების და მათ სტანდარტებთან მიახლოების გზაზე. ამ პროცესში **NATO**-ში ინტეგრაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, ურყევი ნებისა და დიდი სურვილის მიუხედავად საქართველოს შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ არ არის მზად ამისათვის. **NATO**-ში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით საჭიროა, საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის (**SDR**) დასრულება. პირველადი განსახილველი დოკუმენტის მიზნების (**IDP**) შესრულება. მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვისა და ფინანსური მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, წვრთნების, ოპერაციების მართვის, დოქტრინების ნატო-ს სტანდარტებთან ადაპტაცია. **PFP**-ს ფარგლებში დაგეგმილი ერთობლივი სწავლებებისა და ტრენინგების ჩატარება. **Blackseafors**-ისა და **Active Endeavor**-ში მონაწილეობის გაგრძელება, გაერთიანებული საშტაბო და ერთიანი ოპერაციების წვრთნების ჩატარება, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო | უკანასკნელ პერიოდში მთლიანად სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შეიარაღებული ძალების დაფინანსება, ასევე მნიშვნელივნად გაიზარდა შეიარაღებული ძალების ეფექტიანობა, თუმცა საქართველოს ბიუჯეტისა და სხვა არსებული რესურსების გათვალიწინებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიანობის დონის კიდევ უფრო ამაღლებას, ამ მხრივ აქტუალურია როგორც კადრების კვალიფიკაციის ამაღლება ასევე თავდაცვის მართვის სისტემის გაუმჯობესება. (აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით ეხება საშუალო და ქვედა რგოლებს). თავდაცვის მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის საჭიროა: დაგეგმვის, პროგრამირების და ბიუჯეტირების სისტემის (**dpbs**) დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს ჰორიზონტალურ დონეზე დაგეგმვის მექანიზმებს თავდაცვის სამინისტროში, მართვის ჯგუფის (რომელიც შედგება დეპარტამენტის უფროსებისა და სახეობების ხელმძღვანელებისაგან) რეკომენდაციების შემუშავება მოკლე, საშუალო და გრძლევადიან პერიოდში განვითარების პროგრამებზე, მათ დაფინანსებასა და ბიუჯეტში გათვალისწინებაზე. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სწავლებებში მონაწილეობა, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში წვლილის შეტანა. | |
| **მოსალოდნელი შედეგები** | • სამხედრო სამსახური გახდება პრესტიჟული, სამხედრო მოსამსახურე მოტივირებული, მისი ოჯახი იქნება სოციალურად დაცული, როგორც სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში, ასევე მის შემდგომ.<br>• საბინაო ფონდის მოწესრიგება შეამცირებს საცხოვრებელი ფართის დაქირავების საკომპენსაციო სახსრებს. | • შედეგად მივიღებთ შეიარაღებული ძალების ისეთ ქვედანაყოფებს, რომლებიც პასუხობენ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს, ხოლო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის გამიზნული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა გახდება რაციონალური.<br>• შეიქმნება **NATO**-ს შერეულ ძალებთან თავსებადი ქვედანაყოფები, რომლებიც შეძლებენ **NATO**-ს და კოალიციურ ჯარების შემადგენლობებთან ერთობლივი დავალებების შესრულებას. | • გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობების უტილიზაცია შეამცირებს მათი შენახვის დანახარჯებს და ამავდროულად შეამცირებს გარემოს დაბინძურების და უბედური შემთხვევების ალბათობას.<br>• მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ხარჯები გახდება ოპტიმალური.<br>• ლოგისტიკის სისტემის დახვეწა იქნება ბრძოლისუნარიანი შენაერთების უწყვეტი უზრუნველყოფის გარანტია. | • **NATO**-ს წინაშე აღებული ვალდებულებების, შესრულებით საქართველო განხილული იქნება **NATO**-ში გაწევრიანების რეალურ კანდიდა**t**ად. | • ჩამოყალიბდება თანამედროვე და ეფექტური მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს თავდაცვის სამინისტროს დანერგოს რეალისტური დაგეგმვის პროცესი და მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს არსებული სახსრები. |
| **განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო)** | 2004-დან 2011-მდე | 2004-დან 2011-მდე | 2004-დან 2011-მდე | 2004-დან | 2005-დან 2009-მდე |
| **სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები** | სავარაუდო ხელიშემშლელი ფაქტორი შესაძლებელია გახდეს ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური პირობების განსაკუთრებით მკვეთრი ცვლილება. ასევე სხვა ფორსმაჟორული და საგანგებო სიტუაციები. | შესაბამისი დაფინანსებისა და არსებული პოლიტიკური ნების პირობებში ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს მხოლოდ გაუთვალისწინებელი ფორსმაჟორული და სხვა საგანგებო სიტუაციები | შესაბამისი დაფინანსებისა და არსებული პოლიტიკური ნების პირობებში ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს მხოლოდ გაუთვალისწინებელი ფორსმაჟორული და საგანგებო სიტუაციები | შესაბამისი დაფინანსების პირობებში ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ არსებული პოლიტიკური სიტუაცია. | შესაბამისი დაფინანსების პირობებში აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრადია. |

| მხარჯავი დაწესებულება | **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პრიორიტეტული მიმართულებები** | 1. საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა | 2. სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა | 3. პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება | 4. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 5. მოსამსახურეთა სოციალური დაცვა | 6. განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპოდენციების დანიშნულებისამებრ ოპერატიული მიტანა და |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | უსაფრთხოების უზრუნველყოფა |
| **მიმართულებების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე** | გეოპოლიტიკური მდებარეობა, ნარკობიზნესი, ტერორისტული და დივერსიული აქტების საშიშროება | სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობა | მაღალპროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი | ეროვნული საგანძურის ქვეყნის გარეთ გატანის მცდელობები და დიპლომატიურ კორპუსზე თავდასხმის საშიშროება | სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურეთა დაჭრა-დასახიჩრება | სახელმწიფოებრივი საიდუმლოების გამჟღავნების საშიშროება არაკეთილმოსურნე ქვეყნების აგენტურული საქმიანობის გამო |
| **განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო)** | მიმდინარე | | | | | |
| **მოსალოდნელი შედეგები** | დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შემცირება; სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება; მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა; სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების ლოკალიზება და მისი შედეგების ლიკვიდაცია; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება | სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და ქვეყნის საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება; ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დცვა; ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის აღკვეთა; კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მინიმუმამდე შემცირება | კადრების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება | დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა | მოსამსახურეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება; ავადობისა და შრომისუუნარობის რაოდენობათა შემცირება; ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია; მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო უზრუნველყოფა | განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპონდეციების (გზავნილების, სპეცტვირთების) და სხვა დოკუმენტაციის დანიშნულებისამებრ ოპერატიულად და უსაფრთხოდ მიტანა |
| **შედეგების შეფასების კრიტერიუმები** | საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონის ამაღლება | სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დონის ამაღლება | პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდა | ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების დონის ამაღლება | მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება | საიდუმლოების დაცვის ხარისხის ამაღლება |

| | |
|---|---|
| სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირება, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობა და უცხო ქვეყნების აგენტურული საქმიანობის გააქტიურება |

| | |
|---|---|
| მხარჯავი დაწესებულება | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| პრიორიტეტული მიმართულება | 1. განათლების სისტემაში ინსტიტუციური მშენებლობის პროცესის დასრულება, განათლების მართვის სისტემის სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება | 2. ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ჩართვა ერთიან ევროპულ და ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცეში, ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა | 3. სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მეცნიერების განვითარება და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა |
|---|---|---|---|
| **მიმართულებების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე** | 2004-2006 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა ფართომასშტაბიანი რეფორმები განათლებისა და მეცნიერების სფეროში. დასრულდა რეფორმების საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, დაიწყო სისტემის მართვის დეცენტრალიზაციის პროცესი, ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები დაფუძნდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, რაც ზრდის მათი დამოუკიდებლობის ხარისხს. აირჩნენ ავტონომიური დაწესებულებების მართვის ორგანოები. განათლებისა და მეცნიერების მართვის მნიშვნელოვანი ფუნქციები დელეგირებული იქნა ახლადშექმნილ სტრუქტურებზე: ,,სსიპ - ეროვნული გამოცდების ცენტრი“, ,,სსიპ – სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი“, ,,სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, “სსიპ – აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი”, “სსიპ – ეროვნული სამეცნიერო ფონდი”. გარდაიქმნა განათლების ტერიტორიული მართვის სისტემა, შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - საგანმანათლებლო რესურსცენტრები. ბავშვზე ზრუნვის სფეროში დაიწყო მზრუნველობის ალტერნატიული ფორმების დანერგვა.<br><br>განხორციელდა სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულებების ოპტიმიზაცია.შეიცვალა როგორც განათლების, ისე მეცნიერების დაფინანსების სქემები. გაიზარდა დაფინანსების მოცულობა. დაიწყო განათლების მატერიალური ბაზის განახლება. ჩატარებულმა ღონისძიებებმაშესაძლებელი გახადა მკვეთრად შემცირებულიყო კორუფციის დონე სისტემაში.<br><br>მოცემულ ეტაპზე ცვლილებების სისტემურობის უზრუნველყოფა მოითხოვს რეფორმების განხორცილების დაწყებას კიდევ ორი მიმართულებით. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმა მიზნად ისახავს ბავშვის განვითარების, მისი სოციალური ინტეგრირების და მშობლების ხელშეწყობას. პროფესიული განათლების განვითარებამ უნდა ხელი შეუწყოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას. არსებული დაწყებითი პროფესიული | ევროატლანტიკურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის კურსი, მიზანი გავხდეთ ევროკავშირის და ნატო-ს წევრები, წარმოშობს შესაბამის მოთხოვნებს განათლების სფეროს მიმართ და გულისხმობს განათლების სისტემის მოწყობას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.<br><br>ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე მომზადდა ეროვნული სასწავლო გგემა. 2005-2006 სასწავლო წელს დაიწყო პილოტირება და 2006-2007 სასწავლო წელს დაიწყო მისი დანერგვა 1, 7 და 10 კლასებში, გავრცელდა ახალი სახელმძღვანელოები. გრძელდება პილოტირება და დანერგვა მომდევნო კლასებში. 2008 წლიდან მოხდება გადასვლა 12-წლიან სწავლებაზე.<br><br>უმაღლესი განათლება გადავიდა სამსაფეხურიან სისტემაზე – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.<br><br>ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სისტემა და 2005-2006 წლებში ორჯერ ჩატარდა ინსტიტუციური აკრედიტაცია, რის შედეგადაც აკრედიტებული დაწესებულებების რიცხვი შემცირდა 43-მდე. 2007 წელს ჩატარდება საგანმანათლებლო დაწესებულების სალიცენზიო პირობების შემოწმება. მიმდინარეობს მზადება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აკრედიტაციისათვის. “უმაღლესი განათლების შესახებ კანონის” შესაბამისად უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ამოქმედდა ხარისხის მართვის სამსახურები. სამინისტრო ხელს უწყობს და კოორდინირებას უწევს საუნივერსიტეტო კურუკულუმებისა და ახალი სახელმძღვანელოების განვითარებას. ყველა ამ ღონისძიების დანიშნულებაა, ხელი შეუწყონ განათლების ხარისხის ამაღლებას.<br><br>საქართველო გაწევრიანდა ბოლონიის პროცესში და მიზნად ისახავს გაერთიანდეს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც გულისხმობს: | ქვეყნის მდრადი განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან და ისეთი გარემოს ჩამოყალიბებასთან, რომელიც ხელსაყრელია ინვესტიციებისა და ინოვაციისათვის. ეს შესაძლებელი გახდება, თუ ქვეყანას ექნება მაღალი ხარისხის ადამიანური კაპიტალი, ეფექტიანად მოქმედი განათლების სისტემა და ინოვაციური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევებს, ახალი ცოდნის გენერირებასა და იმპლემენტაციას, გამომდინარე როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული და სოციალური განვითარების ინტერესებიდან.<br><br>ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება ასეთი გარემოს ერთ-ერთი კომპონენტია. სკოლების კომპიუტერიზაციის საპრეზიდენტო პროგრამა ,,ირმის ნახტომი“ განათლების სფეროს რეფორმირების შემადგენილი ნაწილია. 2007 წლის ბოლოსთვის პროგრამა ყველა საჯარო უზრუნელყოფს კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით, ხოლო 2008 წლის ბოლოსთვის მიაღწევს შეფარდებას 1 კომპიუტერი 20 მოსწავლეზე. ამავე პერიოდისთვის მაღალ ხარისხს მიაღწევს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა 100% და პედაგოგების 70%-ზე მეტი დაეუფლება ძირითად კომპიუტერულ ჩვევებს, შეიქმნება ძირითადი ინფრასტრუქტურა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სკოლების ტექნოლოგიური ბაზის მუდმივი განახლება.<br><br>ასევე უნდა გაძლიერდეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება როგორც პროფესიულ, ასევე უმაღლეს განათლებაში.<br><br>აუცილებელია შემუშავდეს ცოდნაზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სასწავლებლების ბაზაზე შეიქმნება პროფესიული სწავლების ცენტრები.<br><br>არსებული საშუალო პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების დაწესებულებების ბაზაზე დაიწყება უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელება. ეს პროგრამები ორიენტირებულია მოკლე დროში ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადონ უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალები.<br><br>ინსტიტუციური გარდაქმნების დასრულების პარალელურად აუცილებელია განათლების მატერიალური ბაზის განახლება. კერძოდ, არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ახლების მშენებლობა, ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების მოწყობა და აღჭურვა.<br><br>სერიოზული ყურადღება მიექცევა განათლების ყველა დონის პედაგოგის და დამხმარე პერსონალის პროფესიულ მომზადებას და გადამზადებას.<br><br>განათლების სისტემის ახალი დეცენტრალიზებული მართვის მოდელის გამართული მოქმედების უზრუნველყოფა საჭიროებს დროს და სერიოზულ ძალისხმევას. ასეთი მოდელის ფუნქციონირება დაკავშირებულია დაინტერესებულ პირთა მაღალ აქტიურობასთან, მოითხოვს ცოდნას და კვალიფიკაციას, როგორც განათლების, ისე მენეჯმენტის საკითხებში. ამგვარად, აუცილებელია, რომ გარკვეული პროგრამები იყოს მიმართული განათლების სისტემის მართვის ორგანოების თანამშრომელთა და არჩევითი ორგანოების წევრების მომზადებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. | სწავლის შედეგებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის დახვეწას, ევროპულთან ადვილად შესადარებელი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებას, ყურადღებას განათლების სოციალური განზომილების მიმართ და განათლების ხელმისაწდომობის თანაბარუფლებიანობის დაცვას, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების შექმნას, სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობას.<br><br>თუმცა სრულუფლებიანი წევრობისათვის ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის საზოგადოების ერთიანობა, ეროვნული იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. აღნიშნულ მიზანს ემსახურება განათლების სამინისტროს ისეთი პროგრამები, როგორიცაა სამოქალაქო ინტეგრაციის, არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლის, სასკოლო პარტნიორობის პროგრამები და სხვა.<br><br>შემდგომი ღონისძიებები გულისხმობს განათლებისა და მეცნიერების სისტემის ორიენტირებას საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე. ასეთი პროექტების რიგს მიეკუთვნება სახელმძღვანელოების თარგმნის პროგრამა არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში არაქართული ენების, როგორც მშობლიური ენის სწავლების სასწავლო გეგმის შემუშავება. | დაფუძნებული საზოგადოების განვითარების სტრატეგია და ამ სტრატეგიის რეალიზების გეგმა.<br><br>სამეცნიერო სფეროს რეფორმის გაგრძელება. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უკვე განხორციელდა მოცემულ ეტაპზე, მეცნიერების დაფინასების კონკურენტული სისტემის ჩამოყალიბებაა. 2006 წელს ჩატარებული გრანტების კონკურსის შედეგად დაფინანსდა 113 პროექტი 44 ორგანიზაციიდან, დაფინანსების საერთო მოცულობით 11136842 ლარი. დაიწყო სამეცნიერო და უმაღლესი განათლების ინტეგრირების პროცესი.<br><br>ამ მიმართულების შემდგომი განვითარება საჭიროებს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროს ინტეგრირების პროცესის გაგრძელებას და გაღრმავებას. შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერას სხვადასხვა სფეროში, ქვეყნის მოთხოვნილების გათვალისწინებით. განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ ქვეყნისათვის პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები. საქართველოში მეცნიერების და კვლევების მთავარ ამოცანად უნდა იქცეს მეცნიერებატევადი პროდუქტების და ტექნოლოგიების შემუშავება, მათი დანერგვა ეროვნულ ეკონომიკაში.<br><br>დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას, მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში და პროექტებში, მათ შორის ევროგაერთიანების ჩარჩო პროგრამებში. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2004-2011 | 2004-2011 | 2004-2011 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგები** | დასრულდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის ოპტიმიზაცია. შემცირდება სკოლების რაოდენობა, სადაც მოსწავლეთა კონტინგენტი 300-ზე ნაკლებია. შეიქმნება პროფესიული სწავლების ცენტრები და უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯები.<br><br>დასრულდება სამინისტროს მართვის დეცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბება; სისტემა მოიცავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ავტონომიური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არჩევით მართვის ორგანოებს, 80 საგანამნათლებლო რესურსცენტრს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – ეროვნულ ცენტრებს და ფონდებს, რომლებიც სახელმწიფოს სახელით ახორციელებენ რეგულირების სხვადასხვა ფუნქციას, განათლებისა და მეცნიერების სფეროში; დაფუძნდება ეროვნული პროფესიული სააგენტო, ჩატარდება პროფესიული განათლების დაწესებულებების ლიცენზირება.<br><br>ჩამოყალიბდება განათლების მართვის ერთიანი სანფორმაციო სისტემა, რომელიც იმოქმედებს მართვის ყველა დონეზე. სკოლების 80%, უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებები ინფორმაციულ –კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით გამოიყენებენ ანგარიშგების მეთოდებს. სამინისტრო და რესურსცენტრები გამოიყენებენ ინფორმაციული სისტემის მონაცემებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში შეტანილი იქნება ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და მოსწავლეების, პედაგოგების შესახებ და ის ხელმისაწვდომი გახდება მართვის სხვადასხვა დონეზე.<br><br>შეიქმნება სკოლების ადმინისტრატორების და ბუღალტრების მომზადების და გადამზადების სისტემა.<br><br>რეგულარულად მომზადდება და გამოქვეყნდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რესურსცენტრების, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ამსახველი ანგარიშები.<br><br>განათლების დაფინასების ვაუჩერული სქემები მოქმედებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის დონეზე. გაიზრდება დაფინასების მოცულობა.<br><br>გაფართოვდება სტუდენტური სესხების სქემა, გაიზრდება მასში ჩართული კომერციული ბანკების რიცხვი, გაუმჯობესდება სესხების გაცემის პირობები. | დასრულდება ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების გადასვლა 12-წლიან სწავლებაზე და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, საგნების 85% ისწავლება ახალი პროგრამების მიხედვით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ახალი სახელმძღვანელოებით.<br><br>ჩატარდება ეროვნული შეფასებები სულ მცირე ორ საგანში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-4 და მე-9 კლასებში. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო შეფასების სისტემებში – PISA, PIRLS, TIMSS.<br><br>სკოლების 80% გამოიყენებს თვითშეფასების პროცედურებს.<br><br>შემუშავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცედურები, დაიწყება ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია.<br><br>შემუშავდება სკოლის მასწავლებელთა ეროვნული პროფესიული სტანდარტები და დაიწყება მათი დანერგვა.<br><br>ჩატარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა რეგისტრაცია და დაიწყება მათი სერტიფიცირება.<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწსებულებებში დაიწყება მასწავლებლების მომზადების ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ჩატარდება ამ პროგრამების აკრედიტაცია.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი შეიმუშავებს ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს და პროგრამებს, განხორციელდება მათი პილოტირება. პროგრამების განხორციელება დაიწყება პროფესიული განათლების ცენტრებში და კოლეჯებში.<br><br>პროფესიული სწავლების დაწესებულებებში შეიქმნება შეფასების ერთიანი სისტემა.<br><br>პროფესიული სწავლების პედაგოგების სტანდარტზე დაფუძნებით გადამზადდება პროფესიული სწავლების დაწესებულებების პედაგოგოგები. უმაღლეს საგანამანათლებლო დაწსებულებებში დაიწყება პროფესიული სწავლების პედაგოგების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, შეიქმნება პროფესიული სწავლების პედაგოგების | დასრულდება სკოლების კომპიუტერიზაციის პროცესი, ყველა სკოლა ჩართული იქნება ინტერნეტსა და ერთიან ქსელში, რომელიც მოიცავს განათლების სამინისტროს და რესურსცენტრებს. დაიწყება სკოლების კომპიუტერული ბაზის განახლების პროცესი.<br><br>კომპიუტერული პროგრამები ფართოდ იქნება გამოყენებული სხვადასხვა საგნების სწავლებისას.<br><br>პროფესიული და უმაღლეს განათლების სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიებით.<br><br>გაგრძელდება უმაღლესი საგანამანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწებულებების ინტეგრირების პროცესი.<br><br>გამოიკვეთება სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებები და განისაზღვრება ამ კვლევების ორგანიზების და ხელშეწყობის განსხვავებული ფორმები. გაგრძელდება მეცნიერების საგრანტო დაფინანსება ეროვნული სამეციერო ფორნდის მიერ<br><br>შეიქმნება და ამოქმედდება სოციალური და ქართველოლოგიური კვლევების დაფინასების მექანიზმები, განხორციელდება მათი ხელშეწყობის პროგრამები. ამოქმედდება მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის ფონდი.<br><br>გაიზრდება საერთაშორისო პროექტებში და პროგრამებში მონაწილე ქართველ მეცნიერთა რიცხვი.<br><br>ზრდასრულ მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მონაწილეობა ზრდასრულთა განათლების პროგრამებში.<br><br>მოხდება საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციების ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში სწავლების ყველა საფეხურზე. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | გაუმჯობესდება მატერიალური ბაზა – აშენდება ახალი სკოლები, დასრულდება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია, მოეწყობა გათბობის სისტემები, სპორტული მოედნები, აღიჭურვება სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტების და სკოლების ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები.<br><br>დასრულდება მუშაობა სკოლების სამშენებლო სტანდარტზე, დაიწყება მისი გამოყენება სკოლების ლიცენზირების პროცესში<br><br>სკოლების კონსოლიდაციის პროცესის მხარდასაჭერად შეიქმნება მოსწავლეთა სკოლებში ტრანსპორტირების სისტემა.<br><br>შეიქმნება სასკოლო სახელმძღვანელოების გაქირავების სისტემა დაწყებითი კლასების სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის.<br><br>განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მაქსიმალურად იქნებიან ჩართულები განათლების მიღების პროცესში.<br><br>ფართოდ იქნება გამოყენებული ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, რაც მკვეთრად შეამცირებს ინსტიტუციური დაწესებულების რიცხვს. | სერტიფიცირების სისტემა და განხორციელდება პედაგოგების და ოსტატების სერტიფიცირება.<br><br>შემუშავდება პროფესიული განათლების დაწესებულებების აკრედიტაციის პროცედურები და დაწყება პროფესიული განათლების დაწესებულებების აკრედიტაცია.<br><br>დასრულდება უმაღლესი განათლების გადასვლა სამსაფეხურიან სისტემაზე, განხორცილედება უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამები. განახლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები.<br><br>ჩატარდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.<br><br>შემუშავდება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო. უმაღლესი განათლება გადავა კრედიტების გადატანის ევროპულ სისტემაზე.<br><br>ყველა არაქართულენოვანი სკოლება 80% გადავა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებაზე, ახალი სახელმძღვანელოების გამოყენებით.<br><br>გაიზრდება უმაღლეს საგანამანათლებლო დაწსებულებებში ჩარიცხულ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელების რიცხვი.<br><br>არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 80% გაივლის მომზადებას ქართულ ენაში.<br><br>ქართული ენის სწავლების ახალი მეთოდების ათვისების მიზნით, არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა 100% გაივლის მომზადებას.<br><br>ყველა არაქართულენოვანი სკოლა იქნება უზრუნველყოფილი სათანადო რესურსებით ქართული ენის სწავლებისა და სწავლისათვის. გაიზრდება უცხოელი სტუდენტების რიცხვი საქართველოს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწსებულებებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **შედეგების შეფასების კრიტერიუმები** | განათლების ხარჯები - როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტი განათლების სხვადასხვა დონეზე.<br><br>სახელმწიფო ხარჯები ერთ მოსწავლეზე მთლიანობაში და განათლების სხვადასხვა დონეზე.<br><br>ახალაშენებული და განახლებული სასწავლო დაწესებულებების, სპორტული მოედნების, ლაბარატორიების, ბიბლიოთეკების რაოდენობა.<br><br>საგანმანათლებლო დაწესებულებების წილი არჩეული მართვის ორგანოებით. ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებების პროცენტი, სადაც ჩატარებულია განმეორებითი არჩევნები.<br><br>მოსწავლეთა ტრანსპორტირებით დაკავებული სატრანსპორტო ერთეულების რაოდენობა.<br><br>განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაჩვენებლები საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში.<br><br>მცირეკონტინგენტიანი საგანმანათლელო დაწესებულებების წილი და ამ დაწესებულებებში სტუდენტთა წილი განათლების შესაბამისი დონის საერთო მაჩვენებლებთან მიმართებაში.<br><br>განათლებაზე ხარჯების წილი შინამეურნეობების მთლიან ხარჯებში.<br><br>რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები – თანაფარდობა მოსწავლე-მასწავლებელი. | სკოლებში მოსწავლეების ჩართულობის და განთესვის მაჩვენებლები.<br><br>პროფესიული სწავლების ცენტრების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.<br><br>პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების კურსდამთავრებულია დასაქმების მაჩვენებლები.<br><br>განათლების ხარისხის მაჩვენებლები OECD-s ინდიკატორთა სკალაზე.<br><br>მოსწავლეთა შედეგები საერთაშორისო შეფასების სისტემებში: PISA, TIMSS, PIRLS.<br><br>მოსწავლეთა შედეგები ეროვნულ შეფასებაში.<br><br>უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.<br><br>სკოლებში სერტიფიცირებულ პედაგოგთა მაჩვენებლები.<br><br>უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვი.<br><br>არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც აითვისეს ქართული ენის სწავლების თანამედროვე მიდგომები.<br><br>სკოლებში ქართული ენის სწავლისა და სწავლების სათანადო რესურსების მოცულობა.<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პროცენტი, რომლებმაც გაიარეს აკრედიტაცია.<br><br>სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები. | სწავლების პროცესში ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები.<br><br>სამეცნიერო ბაზის და ცოდნის გენერირების შესაძლებლობის მაჩვენებლები (სამეცნიერო კვლევის დაფინანსება, ფუნდამენტური კვლევის დაფინანსება).<br><br>კომერციული პოტენციალის მქონე ცოდნის გენერირების მაჩვენებლები (გამოყენებითი და ექსპერიმენტული კვლევების დაფინანსება, პატენტები).<br><br>საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ქართველი მეცნიერების მონაწილეობის მაჩვენებლები.<br><br>სამეცნიერო პროექტების უცხოური წყაროებიდან დაფინანსების მაჩვენებლები.<br><br>უცხოელ თანაავტორებთან ერთად გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების პროცენტული მაჩვენებელი. |

| მხარჯავი დაწესებულება | საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პრიორიტეტული მიმართულებები** | 1. ინსტიტუციური რეფორმა | 2. სამუზეუმო რეფორმა | 3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციის, სისტემატიზაცია-დოკუმენტირებისა და პოპულარიზაციია | 4. სპორტისა და კულტურის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 5. სახელოვნებო განათლების სისტემის რეფორმა; |
| **მიმართულების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე** | კულტურის სფეროს მართვის სახელმწიფო პოლიტიკა 2004 წლამდე არსებითად ინარჩუნებდა საბჭოთა ინერციას. არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები, კულტურის მმართველობითი ორგანოებისა და სისტემის ორგანიზაციათა სამართლებრივი ფორმები. შენარჩუნებული იყო ორგანიზაციებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების არაეფექტური მექანიზმები. | რეფორმის განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს საქართველოს სამუზეუმო სივრცის დღევანდელი მდგომარეობის შემდეგი მახასიათებელი ფაქტორები: საზოგადოებისა და მუზეუმების გაუცხოვება; დამთვარიელებელთა ძალზე მცირე რაოდენობა; ახალი თაობისთვის სამუზეუმო ცხოვრებიდან გარიყვა; ექსპონატთა მძიმე მდგომარეობა; ფონდებში დაცული ექსპონატების შესახებ მწირი, არასრულფასოვანი ინფორმაცია; თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა; მოძველებული, ამორტიზებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; არასწორი მენეჯმენტ-სისტემები. | პროგრამის მიმდინარეობა განპირობებულია ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა უკიდურესად მძიმე მდგომარეობით, რეგულარული მოვლა-პატრონობისა და მართვის მექანიზმების არქონით, რეაბილიტაცია-რესტავრაციისა და საინფორმაციო დოკუმენტაციის სიმწირით. | დღეს ქვეყანაში ფაქტიურად მოშლილია კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურა. რეგიონებში აღარ არსებობს კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სრულფასოვნად აღარ ფუნქციონირებენ კულტურის სახლები და კლუბები, სტადიონები, სათამაშო მოედნები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები. | სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურის და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად მისი რეფორმა აუცილებელია ერთის მხრივ ქართული კულტურის, სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის, ხელოვნების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მეორეს მხრივ ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფისათვის.<br>რეფორმის აუცილებლობა განპირობებულია:<br>• დღევანდელ საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და კულტურული ცვლილებებით;<br>• საბჭოურ სისტემაზე დაფუძნებული, მოძველებული სახელოვნებო განათლების პრინციპების და მეთოდოლოგიის არაადეკვატურობით თანამედროვე სწავლების ხარისხის, სტანდარტების, ახალი ტექნოლოგიების, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიმართ;<br>• ქვეყანაში მიმდინარე ზოგადი განათლების სისტემის რეფორმით და ამ სისტემაში სახელოვნებო განათლების ორგანული ინტეგრირების აუცილებლობით;<br>• საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ახალი კანონების ამოქმედებით. |
| **განხორციელების სავარაუდო ვადები(თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო)** | 2004-2011წწ | 2004-2011წწ | 2004-2011წწ | 2005-2011წწ | 2006-2011წწ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | სამინისტროს სისტემაში ბიუროკრატიის მინიმიზირება და კვალიფიკაციის ზრდა; კულტურის სისტემის ორგანიზაციათა სამართლებრივი ფორმების განსაზვრა და მათი მართვის თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნება; ორგანიზაციათა პროგრამული, მიზნობრივი, ადეკვატური დაფინანსება; | პროგრამის განხორციელების შედეგად გვექნება ინფორმაცია ქვეყნის ძირითად კოლექციათა მდგომარეობის შესახებ, ინვენტარიზებული ექსპონატები, აღდგება მუზეუმების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სანახაობითი ფუნქცია. | პროგრამის განხორციელებით განისაზღვრება ძეგლთა გადარჩენისთვის საჭირო სადიაგნოსტიკო და სარეაბილიტაციო მიმართულებები, მოხდება საერთო ეროვნული მნიშვნელობის ნიმუშთა ფიზიკური გადარჩენა, სფეროს პრესტიჟულობის რეაბილიტაცია და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, რეაბილიტაციისა და მართვა-გამოყენების სფეროში. მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური წინსვლის ფაქტორის ამოქმედება. | კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს რეგიონებში აღდგება კულტურის ობიექტები აღჭურვილი თანამედროვე საპროექციო, მუსიკალური და ხმის ჩამწერი აპარატურით, აღდგება სპორტული მულტიფუნქციური კომპლექსები, ახალი მულტიფუნქციური სამოყვარულო სპორტული მოედნები, ხელოვნური საფარით მინისაფეხბურთო მოედნები, პრიორიტეტული სახეობების ეროვნული ნაკრებების ძირითადი კომპლექსები (ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა). | სახელოვნებო და სასპორტო განათლების სისტემის რეფორმირება – პროფესიული და უმაღლესი განათლების კანონების შესაბამისად და საერთაშორისო გამოცდილების, მოთხოვნების და სტანდარტების გათვალისწინებით. |
| **შედეგების შეფასების კრიტერიუმები** | რეფორმის ვადების დაცვა, საზოგადოებრივი აზრი, რეფორმის შედეგების დამოუკიდებელი ექსპერტიზა (ადგილობრივი და საერთაშორისო) | ეროვნული მუზეუმისა და უმნიშვნელოვანესი რეგიონული მუზეუმების ფონდსაცავთა ფიზიკური კონდიცია (დამოუკიდებელი საექსპერტო დასკვნები); თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ექსპოზიციათა რაოდენობა; დამთვალიერებელთა რაოდენობა; კერძო ინვენსტიციების რაოდენობა. | შესრულებულ და ლეგალიზებულ საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროექტთა რაოდენობა, ფიზიკურად გაჯანსაღებული ნიმუშების რაოდენობა, პროექტირებასა და ფიზიკურ სამუშაოებში საზოგადოების ჩართვის ხარისხი, ინფრასტრუქტურით მიღებული შემოსავლების მატება ბიუჯეტში. კერძო სექტორიდან დაფინანსების წილობრივი მატება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. | აღდგენილი ობიექტების ბაზაზე სპორტული წრეებისა და შემოქმედებითი ჯგუფების რაოდენობა. ამ გაერთიანებებში და კლუბებში ჩართულ ადამიანთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. კერძო ინვესტიციების ოდენობა. | სახელოვნებო განათლების მობილობა, დიპლომების აღიარება, სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროგრამული აკრედიტაციის შედეგები, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული შემოქმედებითი კოლექტივები, ქართველ ხელოვანთა მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე. |

| მხარჯავი დაწესებულება - **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტული მიმართულებები | 1. პირობების შექმნა დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის. | 2. დევნილთა ინტეგრაცია | 3. მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. | 4. საზღვარგარეთის ქართულ დიასპორებთან ინტენსიური ურთიერთობების დამყარება და განვითარება, დიასპორებში ეთნიკური იდენტურობის განვითარებისათვის ზრუნვა. დიასპორის წარმომადგენლების აქტიური ჩართვა საქართველოს აღმშენებლობის პროცესში, ორმაგი მოქალაქეობის მიღების წახალისება, ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარება. | 5. 1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე მუსლიმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულება. |
| მიმართულების პრიორიტეტულობის დასაბუთება | არ არის უზრუნველყოფილი სპონტანურად დაბრუნებულ დევნილთა ელემენტარული უფლებები. დევნილების უსაფრთხოება არ არის გარანტირებული, მათი ქონებრივი უფლებები სისტემატურად ირღვევა. საცხოვრებელი პირობები და სოციალური მომსახურების მიღების შესაძლებლობა მინიმალურია. | დევნილთა თითქმის ნახევარი დღესაც განსახლებულია კოლექტიურ ცენტრებში. ამ შენობებმა დაკარგა თავიანთი პირვანდელი ფუნქცია. ისინი ძირითადად უვარგისია საცხოვრებლად. საერთო მონაცემებთან შედარებით – დევნილ მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი და შესაბამისად, დევნილებით მჭიდროდ დასახლების რაიონებში ეკონომიკური აქტივობის უფრო დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება. | არ არსებობს ერთიანი სამიგრაციო სისტემა, რის შედეგად ადგილი აქვს დიდი რაოდენობით არალეგალურ მიგრციას, ტრეფიკინგს, ორგანიზებული კრიმინალის მიერ ქვეყნის ტრანზიტად გამოყენებას. ეკომიგრანტების მიმართ კანონმდებლობისა და პოლიტიკის არარსებობის გამო ადგილი აქვს უკუმიგრაციას რაც იწვევს საბიუჯეტო თანხების არაეფექტურ ხარჯვას. | საქართველოს ხელისუფლების მიერ დასახული ქართულ დიასპორებთან ურთიერთობების გაღრმავების კურსის განხორციელება. მათ მიერ ქართული ცნობიერების დაკარგვის საშიშროება და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში მათი პოტენციალის არასათანადოდ გამოყენება. | 1999 წელს ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებით ნაკისრი ვალდებულება |
| განხორციელების სავარაუდო ვადები | 2008-2011 წ.წ. | 2008-2011 წ.წ. | 2008-2010 წ.წ. | 2008-2011 წ.წ. | 2008-2011 წ.წ. |
| მოსალოდნელი შედეგები | – გაუმჯობესდება სპონტანურად დაბრუნებულ დევნილთა ელემენტარული ყოფითი პირობები;<br>– უკეთესი პირობები შეიქმნება დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის.<br>– აღირიცხება დევნილი მოსახლეობის უძრავი ქონება. | – დევილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გრძელვადიანი გადაწყვეტა;<br>– საზოგადოებრივი მნიშვნელობის კოლექტიურ ცენტრებს დაუბრუნდებათ თავიანთი პირვანდელი ფუნქცია;<br>– კომერციული დატვირთვის მქონე კოლექტიური ცენტრები გამოთავისუფლდება კერძო ინვესტიციებისათვის; | ქვეყნის სამიგრაციო სისტემის სრულყოფა. | – ქართული დიასპორების ეთნიკური თვითშეგნების განმტკიცება;<br>– საქართველოს ეკონომიკის განვითარება;<br>– საგარეო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა | ვალდებულების შესრულება. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | – გაიზრდება ქვეყნაში სოციალური ინსტიტუტების შესაძლებლობები;<br>– შემცირდება კომუნალური ჩასახლებების ობიექტების რემონტთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯები.<br>– დევნილთა შორის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე დამოკიდებულების შემცირება;<br>– დევნილთათვის გამოყოფილი სახელმწიფო შემწეობის მოცულობის შემცირება<br>– დევნილთა სრული ჩართვა სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში. | | | |
| შედეგების შეფასების კრიტერიუმები | – სპონტანურად დაბრუნებულ დევნილთა რაოდენობა;<br>– მათი საცხოვრებელი პირობები;<br>– მათ მიერ ადეკვატური სოციალური მომსახურების მიღების შესაძლებლობა.<br>– მონაცემთა ბაზა დევნილთა უძრავი ქონების შესახებ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. | – იმ დევნილების რაოდენობა, რომლებმაც დატოვეს კომპაქტური ჩასახლების ობიექტები, ან მოახდინეს მათი პრივატიზება;<br>– დახურული კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების რაოდენობა;<br>– იმ კომპაქტური ჩასახლების ობიექტების რაოდენობა, რომლებმაც შეიძინეს თავშესაფრის ფუნქცია.<br>– დევნილთათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური შემწეობის მოცულობის შემცირება;<br>– გადამზადებული დევნილების რაოდენობა, რომლებმაც შეძლეს დასაქმება;<br>– იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებმაც დაიწყეს სასოფლო სამეურნეო საქმიანობა;<br>– დევნილთა შორის ეკონომიკური ინიციატივების მაჩვენებლის ზრდა. | – არალეგალური მიგრაციის ნაკადის შემცირება;<br>– სახელმწიფო დახმარების მიმღები დაზარალბული ოჯახებისა და უკუმიგრანტთა რაოდენობა. | – ჴდიასპორების მიერ ადგილსამყოფელ ქვეყნებში წარმოებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი და ინტენსიურობა;<br>– მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა, ეკონომიკური და სხვა სახის პროექტების განხორციელება; საზღვარგარეთ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გატარების წარმატებულობა. | რეპატრიანტთა რაოდენობა. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | – გაჭირვებულ დევნილთა ჩართულობა სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში;<br>– სახელმწიფო დახმარების მიმღები დევნილების საერთო რაოდენობის შემცირება, იმ დევნილთა ხარჯზე, რომლებიც არ საჭიროებენ სოციალურ მხარდაჭერას. | | | |
| სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | – დეფაქტო ადმინისტრაციების მხრიდან დადგენილი საერთაშორისო ნორმების იგნორირება, ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულება;<br>კონფლიქტურ რეგიონებში სამშვიდობო მისიების არაეფექტურობა. | – კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების პრივატიზების (როგორც ინვესტორების ასევე დევნილების მიერ) შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების შეფერხება;<br>– სათანადო ფინანსური მხარდაჭერის არ ქონა.<br>დევნილთა არასათანადო ინფორმირებულობა. | სათანაო ფინანსური მხარდჭერის არქონა. | ქართული დიასპორების სუსტი კავშირი საქართველოსთან, დიასპორების არაორგანიზებულობა; საქართველოსადმი არამეგობრულად განწყობილ ქვეყანაში ქართული დიასპორის დევნა-შევიწროება; დიასპორებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების საკითხში ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა | |

| მხარჯავი დაწესებულება: saqarTvelos Sromis, janmrTelobisa da socialuri dacvis saministro | | | |
|---|---|---|---|
| **პრიორიტეტული მიმართულებები** | **1საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;**<br>საზოგადოებრივ ჯანმრთე-ლობის დაცვასა და აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახ-ლეობის ფინანსური ხელ-მისაწვდომობის გაუმჯობესება;<br>სამედიცინო დაზღვევის ფინანსურად ხელმისაწვდომი საბაზისო პაკეტის შექმნა და მოსახლეობის უღარიბესი ფენის მოცვა ამ პაკეტით. | **2. სამედიცინო მომსახურების ხარისხის და მასზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;**<br>სამედიცინო ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად;<br>პროფესიული ადამიანური რესურსების (სამედიცინო პერსონალის, სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერების) განვითარება;<br>ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება დარგის სახელმწიფო მართვის გაუმჯობესების გზით:<br>ჯანდაცვის სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური რეფორმის მწყობრი და თანმიმდევრული განხორციელების უზრუნველყოფა;<br>რეფორმის მხარდაჭერისა და დაინტერესებულ მხარეთა თანამონა-წილეობის უზრუნველყოფა.<br>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკის დამკვიდრება;<br>ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის განვითარება.<br>დარგის სახელმწიფო რეგულირების (ნებართვების, ლიცენზირებისა და სერთიფიცირების სისტემა) გაძლიერება;<br>სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ანაზღაურების სისტემის დახვეწა;<br>ბრუნვაში მყოფი სამკურნალო საშუალებების ხარისხის გაუმჯობესება. | 3. **მოსახლეობის სიღარიბის და მოწყვლადობის შემცირება:**<br>სოციალური დახმარებების სისტემის განვითარება.<br>მოსახლეობის სოციალური რისკების მართვის მექანიზმების სრულყოფა.<br>პენსიონერთა საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება.<br>შრომასთან დაკავშირებული სოციალური რისკების (დროებითი შრომისუუნარობა, საწარმოო ტრავმა და პროფესიული დაავადებები) მართვის მექანიზმების სრულყოფა.<br>სოციალური მომსახურების საჭიროებების შეფასების, დაგეგმვისა და მიწოდების სისტემის შექმნა<br>სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა, ტრეფიკინგის და ოჯახური ძალადობის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.<br>ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზა ციის ხელშეწყობა. |
| **მიმართულების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე** | ძალზე დაბალია აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მოხმარება, განსაკუთრებით ღარიბი და მოწყვლადი ოჯახების მიერ. ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ ამბულატორიული ვიზიტი იყო 1.6, (საშუალო ევროპული 7), ავადმყოფობის დადგომისას მოსახლეობის 49% არ მიმართავს ექიმს<br>ჯანმრთელობის გაურესებასთან დაკავშირებული ხარჯები მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება მოსახლეობას, განსაკუთრებით მის ღარიბ ფენას (55%) და ზრდის მოწყვლადობას;<br>დანახარჯი 1 ჰოსპიტალიზაციაზე საშუალოდ 35%-ით აღემატება საშუალო არაღარიბი ოჯახის თვიურ დანახარჯს, ხოლო ღარიბი ოჯახის შემთხვევაში ეს დანახარჯი 1.8-2.8-ჯერ აღემატება ოჯახის მთლიან | სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეკონომიკური ეფექტიანობის, ასევე ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის დონე დაბალია:<br>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურა (შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა) მოძველებული, ამორტიზებულია და არ შეესაბამება საჭიროებებს, როგორც გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ისე სამედიცინო მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით.<br>პროფესიული ადამიანური რესურსების ცოდნა და უნარ-ჩვევები არასაკმარისია ,მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად, აგრეთვე ,სამედიცინო დაწესებულების პროცესზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად.<br>დარგის სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის დონე დაბალია:<br>ჯანდაცვის რეფორმის ცალკეული მიმართულებების განხორციელების კოორდინაცია არასათანადოა და აღნიშნული მიზნით რესურსების მობილიზება არასრულად ხორციელდება;<br>ჯანდაცვის რეფორმის შემუშავება/განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა თანამონაწილეობა დაბალია;<br>ჯანდაცვის პოლიტიკის არჩევანები, გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონეზე, ხშირად არ ეფუძნება განხორციელებული პოლიტიკის ანალიზს, პრობლემების დაზუსტებასა და მიზანმიმართული, შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიის შერჩევას, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ანალიზისათვის საჭირო არასაკმარისი ადგილობრივი მტკიცებულებების არსებობით.<br>სამინისტროს მიერ განხორციელებული პოლიტიკის (მ.შ. სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების) ეფექტიანობის (მ.შ. კლინიკური ეფექტიანობა, ხარჯთეფექტურობა) შეფასებისათვის მონაცემთა მოპოვება და დამუშავება ხდება მოძველებული ფორმების, მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად | საქართველოს მოსახლეობის 16% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფება; სოციალური დახმარებების (საარსებო შემწეობის, საოჯახო დახმარების) პროგრამა, მიმართული იქნება ღატაკი და უმწეო ოჯახების სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე; მისი რეალიზაცია შეამცირებს მოსახლეობის ამ ნაწილის სიღარიბის სიღრმესა და სიმწვავეს.<br><br>სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებების შესრულების პარარელურად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიების, სახელმწიფო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | თვიურ დანახარჯს;<br>ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში 80% წარმოადგენს კერძო დანახარჯებს, უპირატესად არაფორმალური «ჯიბიდან გადახდების» სახით;<br>დანიშნული მედიკამენტების სიძვირე მნიშვნელოვნად ამცირებს ამბულატორიული მომსახურების მოხმარებას. აღნიშნული მიზეზით მოსახლეობის 43% მეტი არ მიმართავს ამბულატორიას,[1] რომლის მოხმარება მოწყვლადი ოჯახების მიერ კიდევ უფრო დაბალია. | ამცირებს სექტორის სამართავად მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობას, ამასთანავე, ჯანდაცვის სისტემის ცალკეულ დონეზე მწირია (ან საერთოდ არ არსებობს) ინფორმაციის აკუმულირებისა და ანალიზის ადეკვატური სიმძლავრე;<br>დარგის მარეგულირებელი მექანიზმები არ იძლევა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის შესაძლებლობებს. უმეტეს შემთხვევაში დარგის მარეგულირებელი ინსტრუმენტები გადასინჯვას საჭიროებს ან შესაქმნელია (მაგ. ექთნების სერტიფიცირების სისტემა)<br>სადღეისოდ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა დაფინანსების ძირითადი მექანიზმია რეტროსპექტული ანაზღაურება, რაც ხშირ შემთხვევაში არ იძლევა სახსრების (მათ შორის სახელმწიფო სახსრების) ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვის შესაძლებლობებს.<br>მიმოქცევაში კვლავაც რჩება ფალსიფიცირებული, უხარისხო და ვადა-გასული სამკურნალო საშუალებები.<br>სამინისტროსა და დაქვემდებარებულ ორგანოებს შორის არ არსებობს ანგარიუშგების ადეკვატური პროცესები და ინსტრუმენტები. | პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების დაფინანსება შეამცირებს მოწყვლადი ჯგუფებისთვის შემოსავლების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკს.<br><br>კერძო საპენსიო სისტემის განვითარება გააუმჯობესებს მომავალი პენსიონერების საპენსიო უზრუნველყოფას და შეამცირებს დაწოლას სახელმწიფოს სოციალური დაცვის სისტემაზე.<br><br>საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების რისკის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების უსაფრთხოებისა და შრომის პირობების დაცვის უზრუნველყოფას, შეამცირებს საწარმოო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ტრავმატიზმსა და პროფესიული დაავადებების შემთხვევებს, რაც გააუმჯობესებს დასაქმებულთა დაცვას შემოსავლების დაკარგვის რისკისაგან და შეამცირებს დაწოლას სოციალური დახმარებების სისტემაზე.<br><br>სოციალური მომსახურების საჭიროებების შეფასების სისტემის შექმნა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ სხვადასხვა სახის პერსონიფიცირებული სოციალური მომსახურებების საჭიროება და მიზნობრიობა.<br><br>სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მომსახურებების სისტემის განვითარება ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას და მოწყვლადობის ხარისხის შემცირებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიული ზრუნვის ფორმების დანერგვა გააუმჯობესებს მათი პიროვნული განვითარების შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას, ასევე შეამცირებს სოციალური დაცვის სისტემის ტვირთს. |
| განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო) | • მიმდინარე | • მიმდინარე | მიმდინარე |
| მიმართულების საბოლოო შედეგები | **საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია საზოგა-დოებრივ ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით;**<br><br>აუცილებელ სამედიცინო მოსახურებასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა გაზრდილია;<br><br>აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის | **სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულია**<br>სამედიცინო ინფრასტრუქტურა განვითარებულია და შეესაბამება საჭიროებებს, როგორც გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ისე სამედიცინო მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით.<br>სამედიცინო დაწესებულებები განახლებულია სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად და აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს (სამშენებლო, ხარისხის);<br>სამედიცინო დაწესებულებები აღჭურვილია და აკმაყოფილებს დადგენილ საჭიროებებს.<br>სამედიცინო დაწესებულებები დაკომპლექტებულია შესაბამისი კადრით და ფუნქციონირებს.<br>პროფესიული ადამიანური რესურსების ცოდნა და უნარ-ჩვევები, პროფესიული მზადების პროგრამების გავლისა და სასერტიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად გაუმჯობესებულია, და მათ უნარი აქვთ უზრუნველყონ: | იდენტიფიცირებულია ღარიბი და მოწყლვადი ოჯახები<br><br>უკიდურესად ღარიბი და უმწეო ოჯახები ღებულობენ ფულად სოციალურ დახმარებას<br><br>სოციალური რისკების რეალიზაციით გამოწვეული შედეგების სიმწვავე შერბილებულია.<br><br>გაზრდილია სამუშაო |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ფინანსური ხელმისაწვდომობა გაზრდილია;<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღინისძიებების ეფექტიანობა მაღალია:<br>მოსახლეობის ჯანმრთე-ლობისათვის სარისკო ქცევა გაუმჯობესებულია;<br><br>ჯანმრთელობისათვის სარისკო ქცევასთან დაკავშირებით ცოდნა და დამოკიდებულება შეცვლილია;<br><br>ქცევის განმსაზღვრელი წესები ადეკვატურია;<br><br>გარემოს მავნე ზემოქმედება ჯანმრთელობაზე შემცი-რებულია.<br><br>სამედიცინო დაზღვევის ფინანსურად ხელმისაწვდომი საბაზისო პაკეტი შექმნილია:<br>ბაზისური პაკეტით ღარიბი მოსახლეობის მოცვა უზრუნველყოფილია; | მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდება;<br>სამედიცინო დაწესებულების პროცესზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული ეფექტიანი მართვა.<br>დარგის სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა ამაღლებულია;<br>ჯანდაცვის რეფორმის ცალკეული მიმართულებების განხორციელება კოორდინირებულია;<br>რეფორმის კოორდინაციისათვის საჭირო სიმძლავრე შექმნილია;<br>რეფორმის განხორციელების დეტალური გეგმა შემუშავებულია;<br>რეფორმის განხორციელება გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.<br>რეფორმის მიმართულებების შემუშავებასა და განხორციელებაში დაინტერესებულ მხარეთა თანამონაწილეობა მაღალია .<br>თანამონაწილეობის ფორმატი გაზიარებულია;<br>დაინტერესებული მხარეების ინფორმირება გაზრდილია.<br>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკა დამკვიდრებულია;<br>მტკიცებულებების მოწოდება გაზრდილია;<br>ანალიტიკური პროდუქციის წარმოება გაზრდილია.<br>ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა განვითარებულია:<br>სისტემის სხვადასხვა დონეზე, ეფექტიანი მართვისათვის საჭირო მონაცემები, მათი მიღების ფომატი, წყარო, მოწოდების ჯერადობა და ვადები იდენტიფიცირებულია;<br>სისტემის სხვადასხვა დონეზე ინფორმაციის მიღების, აკუმულირების, დამუშავების, ანალიზისა და გადაცემისათვის საჭირო სიმძლავრე (ადამიანური, ტექნიკური)შექმნილია<br>რუტინული ინფორმაციული ნაკადები ინსტიტუციონალიზებულია და აკმაყოფილებს საჭიროებებს;<br>დარგის სახელმწიფო რეგულირება (ნებართვების, ლიცენზირებისა და სერთიფიცირების სისტემა) გაძლიერებულია;<br>სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების ლიცენზირების (ნებართვების) სისტემა გაუმჯობესებულია;<br>ლიცენზირების (ნებართვების) სტანდარტები დანერგილია;<br>სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის კონცეფცია და სათანადო საკანონმდებლო მექანიზმები შემუშავებულია;<br>პროფესიული სტანდარტები (პასპორტები) შემუშავებული და ინსტიტუციონალიზებულია.<br>სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ახალი მეთოდები შემუშავებული და დანერგილია;<br>დიაგნოსტიკური ჯგუფების (DRG) სისტემა ჩამოყალიბებულია;<br>კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციები _„გაიდ-ლაინები“ და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო | ადგილისა და შრომის უსაფრთხოების ხარისხი.<br><br>განვითარებულია სოციალური დიაგნოსტიკისა და მომსახურებების დაგეგმვisa da მიწოდების სიმძლავრეები.<br><br>გაუმჯობესებულია გარემო სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაციისათვის. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სტანდარტები _ „პროტოკოლები“ შემუშავებულია და დანერგილია<br>დიაგნოსტიკური ჯგუფების (DRG) სისტემა დანერგილია;<br>ბრუნვაში მყოფი სამკურნალო საშუალებების ხარისხი გაუმჯობესებულია. | |
| **შედეგების შეფასების კრიტერიუმები** | აუცილებელ მომსახურებაზე ჯიბიდან გადახდების მაჩვენებელი;<br>_ სამიზნე მოსახლეობაში მედიკამენტებზე ჯიბიდან დანახარჯების მაჩვენებელი;<br>_ ღარიბი და მოწყვლადი შინამეურნეობების ხარჯები ჯანდაცვაზე, დანახარჯების ხვედრითი წილი % და ლარებში.<br>_ ჯანდაცვის სახელმწიფო<br><br>დანახარჯებში ღარიბებსა და მოწყვლად შინამეურნეობებზე დანახარჯების ხვედრითი წილი;<br>_ სამედიცინო მომსახურების უტილიზაციის მაჩვენებელი არაღიბი და მოწყვლადი მოსახლეობისათვის.<br>დაავადებების გავრცელების მაჩვენებელი, გამოწვეული;<br>_ მოსახლეობის არასწორი ქცევით;<br>_ გარემოს მავნე ზემოქმედებით.<br><br>ღარიბი მომსახლეობის ხვედრითი წილი, რომელიც უზრუნველყოფილია ბაზისური სადაზღვევო პაკეტით;<br>_ მოსახლეობის % რომლისთვისაც ხელმისაწვდომია ბაზისური სადაზღვევო პაკეტი. | სამედიცინო გამოსავლის მაჩვენებლები: (მ.შ. სამედიცინო მომსახურების გართულებების რაოდენობა),<br><br>მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელიც მგზავრობის მისაღებ დროის ინტერვალში აღწევს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას საჭირო მომსახურების მისაღებად;<br><br>მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი;<br><br>განახლებული სამედიცინო დაწესებულებების (საწოლების) ხვედრითი წილი ჰოსპიტალური სექტორისა და პირველადი ჯანდაცვის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ სიმძლავრესთან შედარებით, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის საინჟინრო და ხარისხის მოთხოვნებს (სტანდარტებს).<br><br>აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებების ხვედრითი წილი (%) ჰოსპიტალური სექტორისა და პირველადი ჯანდაცვის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ დაწესებულებათა რიცხოვნებასთან მიმართებით, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ საჭიროებებს აღჭურვილობის მიმართ.<br><br>ინვესტიციის ოდენობა და მისი ხვედრითი წილი (%) დაგეგმილთან შედარებით ;<br><br>ინვესტიციის ოდენობა რეაბილიტაციის ერთეულზე და მისი ხვედრითი წილი (%) დაგეგმილთან შედარებით.<br><br>გადამზადებული პროფესიული ადამიანური რესურსების რაოდენობა საჭიროებით განსაზღვრულ ოდენობასთან მიმართებაში:<br><br>სპეციალობების მიხედვით გადამზადებული ექიმებისა და ექთნების რაოდენობა საჭიროებით განსაზღვრულ ოდენობასთან მიმართებაში: | მოსახლეობის % რომელიც ღებულობს სოციალურ შემწეობას და ამოვიდა უკიდურესი სიღარიბიდან.<br><br>მოსახლეობის % რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეფასებულია და რეგისტრირებულია მიზნობრივი სოციალური პროგრამებისთვის.<br><br>სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა % რომელიც მოცულია სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამებით.<br><br>დეინსტიტუციონალიზ ებულ პირთა % მაჩვენებელი.<br><br>საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევათა შემცირების % |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | გადამზადებულ სპეციალობაში სერთიფიცირება გავლილი პროფესიული რესურსების ხვედრითი წილი (%) გადამზადებულ პროფესიულ რესურსებთან მიმართებაში;<br><br>გადამზადებული ჯანდაცვის მენეჯერების რაოდენობა საჭიროებით განსაზღვრულ ოდენობასთან მიმართებაში:<br><br>ჯანდაცვის სექტორის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ჩატარებული კვლევების რაოდენობა და ხარისხი;<br><br>მთავრობის მიერ დამტკიცებული ჯანდაცვის პოლიტიკის დოკუმენტები;<br><br>რეფორმის განხორციელების თანხვედრა შემუშავებულ პოლიტიკასთან.<br><br>რეფორმის კოორდინაციისათვის არსებული სიმძლავრის ხვედრითი წილი საჭირო სიმძლავრესთან;<br><br>რეფორმის განხორციელების დეტალური გეგმა არსებობს/ფორმალიზებულია;<br><br>დადგენილ ვადაში განხორციელებული ღონისძიებების ხვედრითი წილი რეფორმის განხორციელების დეტალური გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობასთან.<br><br>დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა;<br><br>მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს მაჩვენებელთა ხვედრითი წილი, რომელთა გამოყენებითაც მოხდა დარგის პოლიტიკის და მისი განხორციელების პროგრამების ეფექტიანობის შეფასება.<br><br>ახალი წესის მიხედვით სანებართვო სტანდარტებით სამედიცინო საქმიანობის უფლებამინიჭებული დაწესებულებების რაოდენობა (მ.შ. გაუქმებული ლიცენზიების ხვედრითი წილი); | მაჩვენებელი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ფორმალიზებული პროფესიული სტანდარტების ხვედრითი წილი, პროფისეული პასპორტების საჭირო ოდენობასთან.<br><br>ახალი სტანდარტებით რესერტიფიცირებული პერსონალის ხვედრითი წილი<br><br>დიაგნოსტიკური ჯგუფების სისტემა შემუშავებული და ადაპტირებულია;<br><br>დამტკიცებული (აღიარებული) გაიდლაინების ხვედრითი წილი დიაგონოსტიკურ კატეგორიების საერთო რიცხოვნობაში.<br><br>დამტკიცებული (აღიარებული) კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების _ „პროტოკოლების“ ხვედრითი წილი დიაგონოსტიკურ კატეგორიების საერთო რიცხოვნობაში.<br><br>დანერგილი გაიდლაინების ხვედრითი წილი დამტკიცებული (აღიარებული) გაიდლაინებიდან;<br><br>დანერგილი კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების _ „პროტოკოლების“ ხვედრითი წილი დამტკიცებული (აღიარებული) ოდენობიდან;<br><br>დიაგონოსტიკური ჯგუფების სისტემა ფორმალიზებულია;<br><br>სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროცედურით გამოვლენილი უხარისხო, ფალსიფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტების ხვედრითი წილი შემოწმებულ რაოდენობაში;<br><br>შემოწმებული მედიკამენტების ხვედრითი წილი მიმოქცევაში არსებულ საერთო რიცხოვნობასთან მიმართებაში. | |
| • სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | სამედიცინო მომსახურების (თვით) ღირებულების მკვეთრი ზრდა;<br><br>განსაკუთრებულად საშიში ინფექციების ეპიდემია | საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილთან შედარებით ნაკლები ზრდის ტემპი; | ეკონომიკური ზრდის ვარდნა.<br>ინფლაციის მაღალი დონე.<br>საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილთან |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შედარებით ნაკლები ზრდის ტემპი. სოციალური მომსახურების სიმძლავრეთა არასაკმარისი განვითარება; გაუთვალისწინებელი ბუნებრივი ან ტექნოგენური კატაკლიზმები არახელსაყრელი მიგრაციული პროცესები |

| მხარჯავი დაწესებულება | **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო** | | |
|---|---|---|---|
| **პრიორიტეტული მიმართულებები** | ჰიდრო- და თბოელექტროსადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია | ელექტროგადაცემის საშუალებების მშენებლობა-რეაბილიტაცია | ბუნებრივი აირით მომარაგების უზრუნველყოფა, ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობა |
| **მიმართულების აუცილებლობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე** | ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების არასაკმარისი დონე, საპროექტო სიმძლავრეების გამომუშავებასთან მაქსიმალური მიახლოება | ენერგეტიკული სისტემის არასაკმარისი ტექნიკური მდგრადობა და დაბალი იმედიანობა | არასაკმარისი შიდა ქსელებისა და ინფრასტრუქტურის არსებობა, ბუნებრივ აირზე მოთხოვნის გაზრდა |
| **განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა როდის დაიწყო)** | 2008 წ. | 2008 წ. | 2008 წ. |
| **მოსალოდნელი შედეგები** | ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა, იაფი ჰიდრორესურსების რაციონალურად გამოყენება, ადგილობრივი მოხმარების დაბალანსება | სისტემის იმედიანობისა და ელ.ენერგიის ხარისხის გაუმჯობესება, მეზობელ სისტემებთან კავშირის გაძლიერება, ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობის ამაღლება | ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება, სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა |
| **შედეგების შეფასების კრიტერიუმები** | სიმძლავრეების გაზრდა, ეკონომიურობისა და იმედიანობის ამაღლება. ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება | ელ.ენერგიის გადაცემის ეფექტურობის გაზრდა, დანაკარგების შემცირება, ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციის ამაღლება | გაზის მიწოდებისა და ტრანსპორტირების საიმედოობის გაზრდა, მაგისტრალური გაზსადენისა და შიდა ქსელების ექსპლუატაციის საიმედოობის გაზრდა |
| **სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები** | მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესება | | |

| მხარჯავი დაწესებულება | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | |
|---|---|---|---|
| პრიორიტეტული მიმართულებები | 1. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, სამელიორაციო სისტემების მართვის რეფორმა | 2. მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა | 3. სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უვნებლობის უზრუნველყოფა |
| მიმართულებების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზინად გამომდინარე | • სოფლის მეურნეობაში პირველადი წარმოების პროდუქტიულობის დაბალი დონე<br>• სამელიორაციო სისტემების მართვის არაეფექტური სისტემა<br>• მეორადი მაგისტრალური არხების და შიდა სამეურნეო ქსელების მართვის არაეფექტურობა<br>• არასწორი სატარიფო პოლიტიკა<br>• ქვეყანაში გაწყლოვანებული და დრენაჟირებული ფართობების შემცირების დინამიკა<br>• სამელიორაციო სისტემების გაუმართაობა<br>• დაზიანებული მაგისტრალური არხები<br>• თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დაბალი დონე<br>• ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე<br>• ფერმერებში მწირი ინფორმაცია ახალ ტექნოლოგიურ სიახლეებსა და მეცნიერულ მიღწევებზე | • ქართული ღვინის ფალსიფიკაციის მაღალი დონე<br><br>• ქართული ღვინის ნიშნის დისკრედიტირება საერთაშორისო ბაზრებზე<br><br>• ადგილწარმოშობის დასახელების პროდუქციის გავრცელების გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა-კონკრეტიზაციისა და ვენახების აღწერა-პასპორტიზაციის მიმდინარე პროცესი | • ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული დაავადებების გავრცელების მაღალი რისკი<br><br>• სურსათით გამოწვეული დაავადების მაღალი დონე<br><br>• სურსათის ფალსიფიკაციის ხშირი შემთხვევები<br><br>• სურსათის უვნებლობის თვითრეგულირების დაბალი დონე<br><br>• არსებული ცხოველთა დაბალპროდუქტიულობა |
| განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა როდის დაიწყო) | 2006-2011 წწ. | 2006 - 2011 წწ. | 2006-2011 წწ. |
| მოსალოდნელი შედეგები | • სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდა<br><br>• გაწყლოვანებული და დაშრობილი ფართობების ზრდა<br><br>• სამელიორაციო სიტემების ეფექტური მართვა<br><br>• რეაბილიტირებული სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურა<br><br>• ქვეყნის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა<br><br>• სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის აუცილებელი თანამედროვე ინფორმაციით უზრუნველყოფილი ფერმერები | • ფალსიფიკაციის დონის შემცირება და ქართული ღვინის სასაქონლო ნიშნების დაცვის უზრუნველყოფა შიდა და გარე ბაზარზე<br><br>• საქართველოს ღვინის ხარისხის ეფექტური სისტემის შექმნა გასაღების ბაზრების მოთხოვნის შესაბამისად<br><br>• ქართული ღვინის პოტენციალის რეალიზება შიდა და საექსპოტრო ბაზარზე | • მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა სურსათთან მიმართებაში<br><br>• ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედობის შენარჩუნება<br><br>• სურსათის ფალსიფიკაციის შემცირება<br><br>• მაღალპროდუქტიული, ხალასშიშიანი მეცხოველეობის განვითარება<br><br>• ქვეყნის, როგორც კეთილსაიმედო სავაჭრო პარტნიორის აღიარება |

| | | | |
|---|---|---|---|
| შედეგების შეფასების კრიტერიუმები | • გაწყლოვანებული და დაშრობილი ფართობების რაოდენობა<br><br>• დროულად და ხარისხიანად შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები<br><br>• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა | • ფალსიფიცირებული პროდუქციის რაოდენობა<br><br>• ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და გაზრდილი შემოსავალი | • სურსათით გამოწვეული დაავადებების რაოდენობა<br><br>• ეპიზოოტიური დაავადებების თავიდან აცილება და არსებული კერების რაოდენობა<br><br>• სურსათის ფალსიფიკაციის შემთხვევების რაოდენობა |
| სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორები | არ არის | საგარეო პოლიტიკური ვითარება | არაკეთილსაიმედო გარემო ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული დაავადებების გავრცელებასთან დაკავშირებით |

| მხარჯავი დაწესებული | გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო | | | |
|---|---|---|---|---|
| პრიორიტეტული მიმართულებები | **სატყეო სექტორის მართვის საჯარო კერძო პარტნიორობის (PPP) მოდელის დანერგვა** | **დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და ეკოტურიზმის განვითარება** | **ნარჩენების მართვის სისტემის რეფორმა** | **წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლა** |
| მიმართულებების პრიორიტეტულობის დასაბუთება არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე | – დარგის განვითარების სტრატეგიის (პოლიტიკის) არარსებობა;<br>– მოუქნელი და დიდი ბიოროკრატიული აპარატი;<br>– მოქმედი კანონმდებლობით მეტისმეტად მკაცრი, დეკლარატიული (შეუსრულებადი) რეგულირება;<br>– ხე-ტყის უკანონო ჭრის მაღალი მასშტაბები.<br>– კერძო ინტერესების დემოტივაცია. | – ბუნების უნიკალური ძეგლების დაცვა-შენარჩუნება;<br>– ეკოტურიზმის გამოუყენებელი პოტენციალი;<br>– მოუწყობელი ინფრასტრუქტურა;<br>– ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ბრაკონიერობის მაღალი მასშტაბები. | – ნარჩენების არაეფექტური მართვის სისტემა;<br>– ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და სტანდარტების არარსებობა;<br>– სახიფათო ნარჩენებით დაბინძურების და ინტოქსიკაციის მაღალი რისკი;<br>– დემოტივირებული კერძო სექტორი. | – წყლის რესურსების მართვის სისტემის ჩამოყალიბებული მოდელის (ხედვის) არარსებობა;<br>–რესურსების არარაციონალური გამოყენება;<br>–კერძო სექტორის დაინტერესების დაბალი დონე;<br>– არაადექვატური კანონმდებლობა;<br>–მაღალი ხარისხის დაბინძურება. |
| განხორციელების სავარაუდო ვადები (თუ მიმდინარეა, როდის დაიწყო) | 2009 წლის ბოლომდე (დაწყებულია 2005 წლის მეორე ნახევრიდან) | 2009 წლის ბოლომდე | 2008 წლის ბოლომდე (დაწყებულია 2006 წლიდან) | 2010 წლის ბოლომდე |
| მოსალოდნელი შედეგი | – მინიმალური სახელმწიფო და მაქსიმალური კერძო სექტორი;<br>– რაციონალური ტყითსარგებლობა;<br>– ტყითსარგებლობის მონიტორინგის მარტივი და ქმედითი სისტემა;<br>– რაციონალური ტყითსარგებლობა. | –ტურისტების რაოდენობის ზრდა;<br>–ბრაკონიერობის მასშტაბების შემცირება;<br>–მაქსიმალურად შენარჩუნებული ბიომრავალფეროვნება | –ქალაქებსა და რაიონებში უკონტროლო ნაგავსაყრელების მინიმიზაცია.<br>– ნარჩენების შეგროვებაში, ტრანსპორტირებასა და განთავსება-გადამუშავებაში კერძო სექტორის გაზრდილი მოტივაცია; | – მდინარეების სააუზო მართვის რეჟიმზე გადასვლა;<br>– კერძო სექტორის გაზრდილი როლი;<br>– წყლის რესურსების მოხმარებაში დექვატური ეკონომიკური მექანიზმების დამკვიდრება; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შედეგების შეფასების კრიტერიუმები | –ტყის გაუმჯობესებული მდგომარეობა;<br>– უკანონო ჭრების შემცირებული მასშტაბები;<br>–გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები;<br>– ტყითსარგებლობაში კონკურენტული გარემო.<br>– გრძელვადიან სარგებლობაში გაცემული თყის ფართობები (საქართველოს ტყის ფართობების მინიმუმ 35%);<br>–გაზრდილი ლეგალური დასაქმების მასშტაბები. | – ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული ხარისხი;<br>–ახალი დაცული ტერიტორიები;<br>–კერძო მმართველობაში გადაცემული დაბალი დაცვითი კატეგორიის მქონე დაცული ტერიტორიები;<br>– გაზრდილი ტურისტთა ნაკადები და საბიუჯეტო შემოსავლები. | – ნარჩენებით დაბინძურების შემცირება;<br>–ნარჩენების რაციონალური გამოყენება;<br>–სუბსიდიების შემცირება. | –სახელმწიფო უწყებებს შორის მკაფიოდ გამიჯნული კომპეტენციები;<br>–წყლის რესურსების რაციონალური მოხმარება;<br>–წყლის გაუმჯობესებული ხარისხი;<br>– გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები; |
| სავარაუდო ხელის შემშლელი ფაქტორები | საზოგადოების მზადყოფნის დაბალი ხარისხი. | მძიმე სოციალური ფონი და შესაბამისად საზოგადოების მზადყოფნის დაბალი ხარისხი | - უწყებათა შორის კომპეტენციების გაუმიჯნაობა;<br>- საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე. | წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის არარსებობა და უწყებათა შორის კომპეტენციის გაუმიჯნაობა. |